



**არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENEMO)
2 ოქტომბერი, 2021 წელი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველო**

განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

2021 წლის 4 ოქტომბერი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტიას. კამპანია გამოირჩეოდა მაღალი პოლარიზაციით ქვეყანაში ზოგადი მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, დომინირებდა საერთო ეროვნული პოლიტიკური თემები, რაც ზიანს აყენებდა ადგილობრივი პრობლემების, მოქალაქეებისა და მათი თემის საჭიროებების შესახებ დისკუსიისა და წინადადებების წამოჭრის შესაძლებლობას. ამომრჩევლებზე და კანდიდატებზე ზეწოლისა და დაშინების ბრალდებათა კამპანია დააზიანა. არჩევნები ჩატარდა ეფექტიანად და გამჭვირვალედ. უბნებზე ატმოსფერო უმეტესად მშვიდი იყო, თუმცა ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, განსაკუთრებით სოფლებში, პარტიული აქტივობები უბნებზე, რაც, შესაძლოა, გავლენას ახდენდა ამომრჩევლებზე.

2021 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ასარჩევად შემდეგი 4 წლისთვის. წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობაა 51.9%. არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპულმა ქსელმა (ENEMO) გამოაგზავნა შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია 2 ოქტომბრის არჩევნებზე დასაკვირვებლად. მისია შედგება ძირითადი გუნდის 7 წევრისაგან, რომლებიც მუშაობენ თბილისიდან და ჩამოვიდნენ 17 სექტემბერს. არჩევნების დღეს, ENEMO-მ გაგზავნა 20 მოკლევადიანი დამკვირვებელი ხმის მიცემის, დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე დასაკვირვებლად.

მისია აკვირდება ზოგად პოლიტიკურ და საარჩევნო გარემოს, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების პატივისცემას, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების ქცევას, კამპანიას, გენდერულ თანასწორობას, ხმის მიცემისა და დაჯამების პროცესს, საარჩევნო დავების გადაწყვეტასა და პროცესის სხვა მნიშვნელოვან მხარეებს, დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე. ძირითადი გუნდის წევრები შეხვდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, თანამდებობის პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს, მედიასა და სხვა აქტორებს.

წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ეს განცხადება ეფუძნება ჩვენს მიგნებებს საარჩევნო პერიოდის დაწყებიდან არჩევნების დღემდე. მისია დისტანციურად დააკვირდება

მეორე ტურს. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან სამოცი დღის განმავლობაში.

„საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერის“ პროექტი ხორციელდება 2021 წლის 8 სექტემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების ოფიციალური დახმარების ფარგლებში.

ამ დოკუმენტის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ENEMO-ს პასუხისმგებლობას და, შესაძლოა, არ ასახავდეს დონორის პოზიციას.



წინამდებარე დოკუმენტი არის არაოფიციალური თარგმანი. მხოლოდ ამ დოკუმენტის ინგლისური დედანია ოფიციალური ვერსია.

წინასწარი დასკვნები

არჩევნები ჩატარდა ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც კულმინაციას მიაღწია შარშანდელი საპარლამენტო არჩევნებისა და ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტის შემდეგ. წინასწარჩევნო პერიოდი ხასიათდებოდა მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციითა და პოლიტიკური მოთამაშეების ღრმა უნდობლობით ერთმანეთის მიმართ.

საერთო ჯამში, არსებული კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტიას. 2021 წლის ივნისის ცვლილებები, რომლებიც მოჰყვა 19 აპრილის შეთანხმებას, ზოგადად, პოზიტიური იყო და ითვალისწინებდა საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორების მანამდელ რეკომენდაციებს. თუმცა, შესაძლებელია სამართლებრივი ჩარჩოს კვლავ გაუმჯობესება ყოვლისმომცველი რეფორმით. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ჩარჩოს ცვლილება არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არაა რეკომენდებული პრაქტიკა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცვლილებები არსებითი ხასიათისაა, ვინაიდან ეს პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს კანონის სტაბილურობაზე და, ამავე დროს, დამატებით ტვირთს აკისრებს არჩევნების მართვის ორგანოებს.

საკანონმდებლო ცვლილებებმა შეცვალა ყველა დონის კომისიების შემადგენლობა და ცესკოს თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების არჩევის პროცედურა, იმ მიზნით, რომ, პოლიტიკური ძალების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მეშვეობით, გაზრდილიყო საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა.

ცესკოს წევრების არჩევის საპარლამენტო კენჭისყრებს შორის პერიოდის არსებითმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაზე; ცესკოს სამ ვაკანტურ პოზიციაზე დანიშნულ არცერთ კანდიდატს არ მიუღია საპარლამენტო ოპოზიციის ხმები და, შესაბამისად, ისინი ექვსი თვის ვადით არიან დანიშნულები. ENEMO-სთან საუბრებში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა მოვლენებმა დააზიანა კონსენსუსი მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის.

ცესკომ დაიცვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ყველა სამართლებრივი ვადა, არჩევნები მართა ეფექტიანად და დანერგა საპილოტე პროგრამები მომავალ არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, მიუხედავად ახლად შეტანილი ცვლილებებისა და კოვიდ-19 პანდემიისა. ცესკო რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო არჩევნების მონაწილეებისათვის და, ასევე, პირდაპირ ეთერში გადასცემდა შეხვედრებს, რამაც გააუმჯობესა გამჭვირვალობა.

ცესკოს ინფორმაციის დაცვის ცენტრის საქმიანობა და ანგარიშები მიმართული იყო არა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში გარკვეული ინფორმაციული ხარვეზების შევსებაზე, არამედ მისი სამიზნე გახდა ალტერნატიული ინფორმაციის წყაროებიც, რაც, ENEMO-ს აზრით, არასასურველი პრაქტიკაა.

ENEMO-სთან საუბრებში ასევე აკრიტიკებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნით წევრების დანიშვნის პროცესს.

საუბნო საარჩევნო კომისიებმა იმ რაიონებში, რომლებიც ძირითადად დასახლებულია ეროვნული უმცირესობებით, გამოიყენა ამ ეროვნული უმცირესობების ენაზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები.

დაახლოებით 3.5 მილიონ მოქალაქეს შეეძლო არჩევნებში ხმის მიცემა. ამომრჩევლების რეგისტრაცია არის პასიური, განგრძობადი და ცენტრალიზებული. სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი პირების აქტიურ საარჩევნო უფლებაზე დაწესებული შეზღუდვები აცდენილია საერთაშორისო სტანდარტებს. ამომრჩევლებს ჰქონდათ სხვადასხვა საშუალება მათი სარეგისტრაციო მონაცემების დასამოწმებლად და შესწორების მოსათხოვად. ENEMO-სთან საუბრებში არ გამოკვეთილა განსაკუთრებული წუხილი ამომრჩეველთა სიების სისწორესთან დაკავშირებით.

კამპანია გამოირჩეოდა მაღალი პოლარიზაციით, ქვეყანაში ზოგადი მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, და ძირითადად ტარდებოდა მედიის, მათ შორის, სოციალური მედიის მეშვეობით, თუმცა ჩატარდა რამდენიმე საჯარო შეხვედრაც მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობით. დომინირებდა საერთო ეროვნული პოლიტიკური თემები, რაც ზიანს აყენებდა ადგილობრივი პრობლემების, მოქალაქეებისა და მათი თემის საჭიროებების შესახებ დისკუსიისა და წინადადებების წამოჭრის შესაძლებლობას. აღნიშნული გამოიკვეთა იმ მხრივაც, რომ ეროვნული დონის პოლიტიკოსები გადაჭარბებულად იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივ დონეზე, სადაც საკრებულოსა და მერობის ადგილობრივ კანდიდატებს ჩრდილავდნენ პარტიების ლიდერები. კამპანიის განმავლობაში მოხდა რამდენიმე ინციდენტი, მათ შორის, ძალადობრივი ხასიათის არსებითი ინციდენტები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ინციდენტი სერიოზულ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის კამპანიაში განცხადებებით ან სხვაგვარად, რამაც რესურსების უთანასწორობასთან და სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული ეროვნული თუ ადგილობრივი პროექტების პრეზენტაციებთან ერთად შექმნა უთანასწორო პირობები, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა მმართველი პარტია და ბუნდოვანი გახდა ხაზი სახელმწიფოსა და პარტიას შორის.

მედია ლანდშაფტი მრავალფეროვანი, თუმცა პოლარიზებულია, მოკლებულია პოლიტიკური ინტერესებისგან დამოუკიდებლობას, რაც გავლენას ახდენს, ზოგადად, მედიისა და მათი სარედაქციო პოლიტიკის მიმართ ნდობაზე. მედია იყო აშკარად პოლარიზებული საარჩევნო პერიოდში. ENEMO-ს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში გამოიკვეთა სიდრმისეული მედია რეპორტაჟებისა თუ ანალიზის ნაკლებობა, რაც ხარისხიანი პოლიტიკური დებატების სივრცეს არ ტოვებდა. საარჩევნო „სიჩუმის პერიოდში“, 2021 წლის 2 ოქტომბერს, პოლიტიკური პარტიები აქტიურობდნენ სოციალურ მედიაში, მათ შორის, აქტიური ფასიანი რეკლამების მეშვეობით.

2020 წლის ცვლილებები ყოველი მეორე კანდიდატის სხვადასხვა სქესით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არ განხორციელებულა, ვინაიდან უკვე 2021 წლის ივნისიდან ახალი, უკან გადადგმული ცვლილება განხორციელდა ყოველი მესამე კანდიდატის სხვადასხვა სქესით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. გენდერული უთანასწორობა შესამჩნევი იყო მერობის

კანდიდატებში, რომლებზეც სავალდებულო კვოტა არ ვრცელდება. სავალდებულო კვოტებს პოზიტიური გავლენა ჰქონდა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე ზოგად პოლიტიკურ/პარტიულ სტრუქტურებსა თუ წარმომადგენლობით ორგანოებში. თუმცა, მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა ქალთა შესაბამისი წარმომადგენლობისა თუ ქვეყნის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ცხოვრებაში მათი არსებითი და მდგრადი პროაქტიული როლის მიმართულებით.

პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელმა ცვლილებებმა გაახანგრძლივა საჩივრების უმეტესობის შეტანის ვადა ერთი დღიდან ორ დღემდე და განხილვის ვადა - ორი დღიდან ოთხ დღემდე. კამპანიასთან დაკავშირებული დარღვევების შემთხვევაში, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას, სასამართლოში გასაჩივრების ვადაა 10 დღე და განხილვის - კიდევ 10 დღე. მხოლოდ რეგისტრირებულ მონაწილეებსა და აკრედიტებულ ორგანიზაციებს აქვთ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებისა თუ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება. ამომრჩევლებს საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურის დარღვევებზე ან იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან საარჩევნო სიაში. ადგილობრივმა აქტორებმა აღნიშნეს საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიმართ დაბალი ნდობა საჩივრებისა და განხილვის პროცედურების მხრივ.

არჩევნების დღეს ENEMO-მ უბნებზე გააგზავნა 20 საერთაშორისო დამკვირვებელი, რომლებიც აკვირდებოდნენ გახსნის პროცედურებს 20 უბანზე, ხმის მიცემას 263 უბანზე და ხმის დათვლას 20 უბანზე. გარდა ამისა, ENEMO-ს მოკლევადიანი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ საარჩევნო მასალების მოტანასა და მიღებას 20 საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გონივრულად კარგად ჩატარდა კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევებისა და ახლად განხორციელებული ცვლილებების ფონზე. არჩევნების დღე შეუფერხებლად და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა. პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა, იყო ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები.

საუბნო კომისიებში ატმოსფერო ძირითადად მშვიდი იყო. თუმცა, ENEMO-ს დამკვირვებლებმა, განსაკუთრებით სოფლებში, შენიშნეს პარტიული აქტივობები უბნებზე, რაც, შესაძლოა, გავლენას ახდენდა ამომრჩევლებზე საუბრებით, ორგანიზებული ტრანსპორტირებითა და ამომრჩეველთა მონაწილეობისათვის თვალყურის დევნებით.

უბნებზე არჩევნების შედეგების დათვლა ძირითადად გამჭვირვალე იყო - ესწრებოდნენ დამკვირვებლები და მიმდინარეობდა ვიდეოჩაწერა. ცესკო აქვეყნებდა წინასწარი შედეგების დეტალებს თავის საიტზე, რამაც ასევე გააუმჯობესა გამჭვირვალობა. ამომრჩეველთა აქტიურობამ შეადგინა 51,9%, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა წინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით.

უბნების მხოლოდ ნახევარი იყო ადვილად ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. უბნების უმეტესობას ჰქონდა გამადიდებელი ლინზა მხედველობაშეზღუდული ამომრჩევლებისათვის. ქალები კარგად იყვნენ წარმოდგენილნი საუბნო საარჩევნო კომისიებში და შეადგენდნენ კომისიების წევრების 80%-ს, მათ შორის, იყვნენ თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივნები.

ფონი

2021 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა დანიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 წლის 2 ოქტომბერს. არჩევნები ჩატარდა 64 ადგილობრივი საკრებულოსა და იმავე რაოდენობის მერების (5 თვითმმართველი ქალაქისა და 59 თვითმმართველი თემის) ასარჩევად.

ადგილობრივი თვითმმართველობის წინა არჩევნებზე, რომელიც 2017 წელს ჩატარდა, „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა მერის 64 ადგილიდან 62 და უმრავლესობა 64 საკრებულოდან 63-ში. მას შემდეგ და განსაკუთრებით 2019 წლიდან დაიწყო პოლიტიკური კონფლიქტებისა და კრიზისების უწყვეტი ხაზი და, შესაბამისად, წლევეანდელი ადგილობრივი არჩევნების ზოგად პოლიტიკური ჩარჩოსა და წინასაარჩევნო ატმოსფეროში აისახა წინა პერიოდების პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და გაღრმავება, რისი ესკალაციაც მოხდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. რვა ოპოზიციურმა პარტიამ უარყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ დაადანაშაულა არჩევნების შედეგების გაყალბებაში, ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნების მეორე ტურს და, შესაბამისად, პარლამენტს. საპროტესტო აქციების სერია მოეწყო 2020 წლის 1-დან 8 ნოემბრამდე, რისი შედეგიც იყო საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარუმატებელი რაუნდები.

კრიზისის კულმინაცია იყო 2021 წლის თებერვალი, როდესაც ოპოზიციის ლიდერი ნიკა მელია დააკავეს¹. მელიას დაკავება ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასდა თვითნებურ და პოლიტიზებულ ქმედებად, რომელმაც ხელი არ შეუწყო იმ სერიოზული პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების მოგვარებას, რომლებიც დესტაბილიზაციას ქმნიდა საქართველოში.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რიგი საერთაშორისო დაინტერესებული მხარეები რეაგირებდნენ და შუამავლობდნენ დაძაბულობის განმუხტვის პროცესში. ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ თვითნებურ ქმედებებს მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხრიდან ძლიერი რეაქცია და მათი თავდაპირველი რეაქცია გადაიზარდა მედიაციის პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ჩარლ მიშელის ეგიდით.

მთელი რიგი მოლაპარაკებების შემდეგ, 2021 წლის 19 აპრილს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შუამავლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც მოიცავდა ხუთ ძირითად

¹ დაკავების შემდეგ, პრემიერმინისტრი, გიორგი გახარია გადადგა და ეს იმითი ახსნა, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ასეთ დაკავებას ქვეყანაში სერიოზული პოტენციური კონფლიქტისა და დესტაბილიზაციის გამო. ამასთან, გახარიამ დატოვა „ქართული ოცნება“ და 2021 წლის მაისში დააფუძნა ახალი პარტია - „საქართველოსთვის“.

სფეროს, კერძოდ, პოლიტიზებული მართლმსაჯულების აღქმას, საარჩევნო რეფორმას, სასამართლო რეფორმას, პარლამენტში ძალაუფლების უფრო თანაბარ განაწილებასა და იმ პირობას, რომ ჩატარებულიყო ნაადრევი საპარლამენტო არჩევნები 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია 2 ოქტომბრის არჩევნებში მიიღებდა 43%-ზე ნაკლებს. 19 აპრილის შეთანხმების საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა ნაწილმა გამოიწვია საარჩევნო კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. შეთანხმების პოლიტიკურ და საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა პირობა, რომ 2022 წელს დაინიშნებოდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნება“ მიიღებდა პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს.

თავდაპირველად, ეგრეთ წოდებულ "შარლ მიშელის შეთანხმებას" ხელი მოაწერეს მმართველმა "ქართულმა ოცნებამ" და რამდენიმე მცირე ოპოზიციურმა პარტიამ, მაგრამ არა ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ. 2021 წლის 27 ივნისს მმართველმა ქართულმა ოცნებამ ცალმხრივად დატოვა შეთანხმება იმ მიზეზით, რომ ყველა პუნქტი შესრულებული იყო და გააკრიტიკა ნაციონალური მოძრაობა დოკუმენტის ხელმოწერაზე უარის თქმის გამო. ამის საპირისპიროდ, მას შემდეგ, რაც შეთანხმება „ქართულმა ოცნებამ“ დატოვა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაწყვიტა, შეთანხმებაზე ხელი მოეწერა, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი თვე ამაზე უარს აცხადებდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ გამოვიდა შეთანხმებიდან და, შესაბამისად, იმ ვალდებულებიდან, ჩატარებინა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუ 2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული ხმების 43%-ს ვერ მიიღებდა, ეს ბარიერი დარჩა შემდგომი პოლიტიკური დავებისა და არასტაბილურობის პოტენციურ ქვაკუთხედად და ეს იყო ოპოზიციური პარტიების კამპანიის ერთ-ერთი მთავარი თემა.

ამგვარმა განხეთქილებამ, დაძაბულობამ და მზარდმა შუღლმა, ერთი მხრივ, მმართველ პარტიასა და მათ წარმომადგენლებს და, მეორე მხრივ, ოპოზიციურ პარტიებს შორის, ხელი შეუწყო მაღალ პოლიტიკურ პოლარიზაციას, რომლის ფონზეც ჩატარდა 2 ოქტომბრის არჩევნები. კამპანია ძირითადად ტარდებოდა მწვავე რიტორიკის, ძალადობის შემთხვევებისა და ისეთი პრაქტიკით, რომელმაც ბუნდოვანი გახადა ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის.

არჩევნების დღემდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, სამშობლოდან წლების წინ განდევნის შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში დაბრუნდა ქვეყანაში, მოუწოდა ქართველ ამომრჩევლებს წასულიყვნენ არჩევნებზე, ხმა მიეცათ მმართველი პარტიის წინააღმდეგ და ორგანიზებულად დაეცვათ არჩევნებში მიღებული შედეგები. იგი დააკავეს იმავე საღამოს და გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. თუმცა, მის ჩამოსვლას ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არჩევნების დღესა თუ უშუალოდ შემდგომ პოლიტიკურ მოვლენებზე.

მიმდინარე COVID-19 პანდემიური მდგომარეობა ასევე დარჩა მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს მოქალაქეების საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობისთვის წინასაარჩევნო პერიოდში.

სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი არჩევნები, პირველ რიგში, რეგულირდება კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით, ასევე, სხვა კანონებითა² და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგულაციებით. გარდა ამისა, საქართველო არის იმ რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის³ ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც, კონსტიტუციის თანახმად⁴, გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა შიდა ნორმატიული აქტების მიმართ, თუ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას.

საერთო ჯამში, არსებული კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტიას. თუმცა, შესაძლებელია სამართლებრივი ჩარჩოს კვლავ გაუმჯობესება ყოვლისმომცველი რეფორმით, რომელიც მას მოიყვანს საუკეთესო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

2021 წლის ადგილობრივ არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვანი ცვლილებები, ნაწილობრივ 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების იმპლემენტაციით⁵, რომელიც მიზნად ისახავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან წარმოშობილი პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტას. ცვლილებები მიღებულ იქნა საარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყების წინ, 2021 წლის 28 ივნისს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებები დაიწყო პოლიტიკური კრიზისის დასრულების მიზნით, ცვლილებების უმეტესობა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების უფრო ხანგრძლივი პროცესის ნაწილი იყო⁶. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილება არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არ არის რეკომენდებული პრაქტიკა⁷, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცვლილებები არსებითი ხასიათისაა, ვინაიდან ეს უარყოფითად აისახება კანონის სტაბილურობაზე და, ამავე დროს, დამატებით ტვირთს აკისრებს არჩევნების მართვის ორგანოებს.

² მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი, რომელიც პირველად 1997 წლის 31 ოქტომბერს მიიღეს და ბოლოს 2021 წლის ივნისში შეიცვალა; ასევე, 1999 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2004 წლის კანონი მათემატიკის შესახებ, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

³ მათ შორის, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენცია, მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია;

⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი.

⁵ იხილეთ 19 აპრილის [შეთანხმება](#)

⁶ საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებდა 2019-2020 წლებში და განაახლა მუშაობა 2021 წლის თებერვალში, მოქალაქეთა დამკვირვებელთა ჯგუფების, დიპლომატიური საზოგადოების წევრებისა და ორი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობით. 19 აპრილს ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა შესწორებულ შეთანხმებას მმართველ პარტიასთან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბოიკოტის შემდეგ უმსხვილესმა ოპოზიციურმა პარტიამ გადაწყვიტა შეუერთდეს ხელშეკრულებას 2021 წლის მაისში. საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ცვლილებების პროექტის სამი პაკეტი, 2021 წლის აპრილში, მაისში და ივნისში.

⁷ საარჩევნო საკითხებში ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსი (II.2.ბ.).

ამ ცვლილებებმა შეცვალა საარჩევნო კომისიების შემადგენლობისა და დანიშვნის წესი, შემოიღო უფრო მაღალი პროპორციული კომპონენტი ადგილობრივი არჩევნებისთვის, გაზარდა დავების გადაწყვეტის ვადები, შემოიღო შემთხვევითი პრინციპით ხმების ხელახალი გადათვლის ვალდებულება და ამომრჩევლის დაშინებისა და სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ზომები.

შერეული საარჩევნო სისტემიდან პარალელურად შერეულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ერთ-ერთი გადამწყვეტი ცვლილება ამცირებს მუნიციპალიტეტების საკრებულოებში საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილ ადგილებსა და მათ მიერ მიღებულ ხმებს შორის არაპროპორციულობის დონეს, წინა სისტემასთან შედარებით, როდესაც მაჟორიტარულ ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის არსებულმა მნიშვნელოვანმა განსხვავებებმა განაპირობა ის, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების რაოდენობა არაგონივრულად მაღალი იყო. შესაბამისად, სისტემა ხმების არაპროპორციულად ანაწილებდა მანდატებს⁸.

საზოგადოების ნდობის დონის გასაზრდელად და პოლიტიკური ინტერესების უფრო დაბალანსების მიზნით, ცვლილებები შევიდა საარჩევნო კომისიების სამივე დონის (ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისია და საუბნო საარჩევნო კომისია) შემადგენლობისა და დანიშვნის მექანიზმთან დაკავშირებით. შემადგენლობა პროფესიული და პარტიულია, მოიცავს არაუმეტეს 17 წევრს, საიდანაც რვა უპარტიო, ხოლო ცხრა იმ პოლიტიკური პარტიების მიერაა დანიშნული, რომლებმაც მოიპოვეს ადგილები ბოლო საპარლამენტო არჩევნებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება⁹ ეხება ახლად შემოღებულ გენდერულ კვოტას, რომლის მიხედვითაც საკრებულოს არჩევნებისთვის წარდგენილ სიებში თითოეულ პარტიულ სიას უნდა ჰყავდეს განსხვავებული სქესის მინიმუმ ერთი კანდიდატი ყოველ სამ კანდიდატს შორის¹⁰.

საკანონმდებლო ბაზის სხვა ცვლილებები ეხება ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციას¹¹, არჩევნების დღეს „აგიტაციის“ რეგულირებასა და ამომრჩეველთა საარჩევნო უბანთან გავლენისგან დაცვას¹², კენჭისყრის შედეგების ოქმებში ცვლილებებს და

⁸ 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოითხოვს, რომ ნებისმიერი გადახვევა მიჰყვებოდეს ევროპის საბჭოს სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დაცვის ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) embიკის კოდექსს საარჩევნო საკითხებში <https://rm.coe.int/090000168092af01>

⁹ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლი

¹⁰ 2020 წლის ივლისში შემოღებულ იქნა გენდერული კვოტა, რომლის მიხედვითაც ყოველი მეორე კანდიდატი უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის, მაგრამ ეს რიცხვი შემცირდა 2021 წლის ივნისის ცვლილებებით ყოველ მესამე კანდიდატამდე.

¹¹ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლი: საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.

¹² საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, მე -12 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ეს მასალა ჩამოსხნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის

ხელახალ დათვლას, საჩივრებსა და გასაჩივრებებს, ადგილობრივ საარჩევნო სისტემას, ასევე, ელექტრონული ხმის მიცემასა და დათვლას.

საარჩევნო სისტემა

მერები და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები, პირდაპირ ირჩევა ოთხწლიანი ვადით. უახლესი ცვლილებების შესაბამისად, არჩევნები ტარდება შერეული სისტემით; შეიცვალა პროპორციული და მაჟორიტარული ადგილების თანაფარდობა და მაჟორიტარული კომპონენტის ტიპი. თბილისის საკრებულოში ნახევარ-ნახევარი მოდელის ნაცვლად (50% პროპორციული, 50% მაჟორიტარული), წევრთა 80% არჩეული იქნა პროპორციული სისტემით. სხვა თვითმმართველ ქალაქებშიც საკრებულოს წევრთა იგივე წილი ირჩევა პროპორციული სისტემით, როცა ადრე პროპორციული მანდატების წილი 60%-ს უტოლდებოდა. თვითმმართველი თემების საკრებულოებში პროპორციული ადგილების წილი გაიზარდა წევრების მთლიანი რაოდენობის 2/3-მდე¹³.

საკრებულოში ადგილების მოსაპოვებლად პარტიულმა სიებმა უნდა მოიპოვონ მუნიციპალიტეტში მოქმედი ხმების მინიმუმ 3% (თბილისისთვის 2,5%). ამასთან, აირჩევა ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას და ხმების რაოდენობის სულ მცირე 40%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტარდება მეორე ტური იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. რაც შეეხება მერს, აირჩევა ის მერობის კანდიდატი, რომელიც იღებს 50%-ზე მეტ ხმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ხმა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბარიერის შემცირება მეტ პოლიტიკურ პარტიას მისცემს საშუალებას, შევიდეს ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში. თუმცა, ზოგიერთ ოლქში გასანაწილებელი ადგილების მცირე რაოდენობის გამო, პოლიტიკური პარტია, რომელსაც ხმების მინიმალური ბარიერი აქვს გადალახული, საკრებულოში მხოლოდ ერთ ადგილს მოიპოვებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებს ორგანიზება გაუწია და ჩაატარა საქართველოს სამსაფეხურიანმა საარჩევნო ადმინისტრაციამ, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო), 73 საოლქო და 3,746 საუბნო საარჩევნო კომისიებისგან¹⁴.

გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.

¹³ მანამდე საშუალო იყო 49%

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-7 მუხლი.

2021 წლის 28 ივნისს საარჩევნო კანონში შეტანილმა ცვლილებებმა შეცვალა კომისიების შემადგენლობა ყველა დონეზე, ასევე შეიცვალა ცესკოს¹⁵ თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების არჩევის პროცედურები, იმ მიზნით, რომ, პოლიტიკური ძალების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მეშვეობით, გაზრდილიყო საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიების ხუთ მუდმივ წევრს შეუერთდა ცესკოს მიერ არჩეული სამი არაპარტიული წევრი. შესაბამისად, 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში საარჩევნო კომისიები (ყველა დონეზე) შედგება 17 წევრისგან: რვა არაპარტიული და პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი ცხრა წევრისგან.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა ცესკო, რომელიც შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან. მათ შორის არიან ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოს თავმჯდომარის 2 მოადგილე და მდივანი. ამასთან, ცესკოს თავმჯდომარე არის ცესკოს ერთ-ერთი წევრი. ცესკო პასუხისმგებელია არჩევნების ჩატარებაზე და აქვს ფართო უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები.

ცესკოს რვა უპარტიო წევრს, თავმჯდომარის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, რომელიც დაფუძნებულია იმ საკონკურსო კომიტეტის¹⁶ შეთავაზებაზე, რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (სსო) და აკადემიური წრისგან. ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე გადადგა 30 ივნისს და, ახალი საარჩევნო ცვლილებების შესაბამისად, ცესკოს ახალი თავმჯდომარე¹⁷ და ორი დამატებითი კომისიის წევრი პარლამენტმა დანიშნა 2 აგვისტოს მარტივი უმრავლესობის მეშვეობით, ორი მესამედის კვალიფიციური უმრავლესობით დანიშვნის 3 წარუმატებელი მცდელობის¹⁸ შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო კენჭისყრებს შორის პერიოდის არსებითმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაზე; ცესკოს სამ ვაკანტურ პოზიციაზე დანიშნულ არცერთ კანდიდატს არ მიუღია საპარლამენტო ოპოზიციის ხმები და, შესაბამისად, ისინი ექვსი თვის ვადით არიან დანიშნულები. ENEMO-სთან საუბრებში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა მოვლენებმა დააზიანა კონსენსუსის წარმართვა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის და, ფაქტობრივად, მისცა საპარლამენტო უმრავლესობას შესაძლებლობა, აერჩია კანდიდატები ოპოზიციის თანხმობის გარეშე. შედეგად, ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა ჩატარდა ოპოზიციური პარტიების დე ფაქტო ბოიკოტით, რამაც უარყოფითად იმოქმედა ამ ორგანოს მიმართ ნდობაზე ოპოზიციის უმეტესობის მხრიდან.

¹⁵ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-10, მე-11, მე-12 მუხლები

¹⁶ საკონკურსო კომისია შედგება 9-11 არასამთავრობო ორგანიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისგან და წარუდგენს პრეზიდენტს კანდიდატებს ცესკო-ს თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე. საერთო ჯამში, საკონკურსო კომისიამ განიხილა შვიდი განცხადება ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, მაგრამ სსო-ების მიერ დანიშნული კომიტეტის ხუთი წევრიდან ოთხმა არ დაუჭირა მხარი არცერთ მათგანს.

¹⁷ 19 აპრილის შეთანხმების ცვლილებების მიღებიდან მალევე, ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ თანამდებობა დატოვა.

¹⁸ ვენეციის კომისიის გადაუდებელი ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსში შესწორებული ცვლილებების პროექტის შესახებ, §21 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2021\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2021)026-e)

ცესკომ დაიცვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ყველა სამართლებრივი ვადა. ცენტრალური საარჩევნო კომისია ატარებდა რეგულარულ შეხვედრებს საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისათვის, ამასთან, პირდაპირ ეთერში პირველად გადასცემდა შეხვედრებს. წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ ჩაატარა 21 შეხვედრა, მიღებულ იქნა 23 დადგენილება და 244 გადაწყვეტილება. ცესკოს გადაწყვეტილებების უმეტესობა ერთხმად იქნა მიღებული და დროულად გამოქვეყნდა¹⁹ ვებგვერდზე ოქმით სახით, რამაც ხელი შეუწყო გამჭვირვალობის გაზრდას.

საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიციისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების გარდა, განხორციელდა პროგრამები საარჩევნო პროცესის ინკლუზიურობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად. განხორციელდა ხუთი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის²⁰.

16 აგვისტოს ცესკომ დააფუძნა ინფორმაციის დაცვის ცენტრი, მათი თქმით, არჩევნების ორგანიზაციისა და პროცესის შესახებ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით როგორც ტრადიციულ, ასევე სოციალურ მედიაში²¹. თუმცა, აღნიშნული ცენტრის ანგარიშები გამოიყენეს არა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ინფორმაციის ხარვეზების შესავსებად, არამედ მისი სამიზნე გახდა ალტერნატიული ინფორმაციის წყაროებიც, რაც, ENEMO-ს აზრით, არასასურველი პრაქტიკაა.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ვებგვერდზე ონლაინ საჩივრების შეტანა შესაძლებელია, თუმცა კანონი არ ითვალისწინებს საჩივრის შეტანის შესაძლებლობას დღის ბოლომდე. მოქმედი წესების თანახმად, საჩივრის შეტანის ბოლო ვადაა 18:00 საათი²².

ცესკომ ასევე განხორციელა ორი საპილოტე პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას. 3,198 საარჩევნო უბანზე (ყველა საარჩევნო უბანი 300-ზე მეტი ამომრჩეველით) ხმების დათვლის პროცესი იქნა ჩაწერილი საუბნო საარჩევნო კომისიების ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი წევრების ზედამხედველობით. არსებობს გარკვეული ეჭვები საჩივრების განხილვისას ამ ჩანაწერების გამოყენების შესაძლებლობის მიმართ, რადგან ვიდეოჩანაწერები ინტერნეტში უნდა აიტვირთოს არჩევნების დღიდან²³ არაუგვიანეს მეხუთე დღის დილის 10:00 საათისა, მაგრამ, ამავე დროს, საუბნო საარჩევნო კომისიებში ხმების ხელახალი დათვლის პროცედურა შეიძლება განხორციელდეს კენჭისყრიდან ექვსი დღის განმავლობაში²⁴. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს

¹⁹ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-4 და მე-14 მუხლები; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი;

²⁰ საარჩევნო მართვის ორგანოების პოტენციური წევრები, ხმის მიცემაში პირველად მონაწილე ამომრჩეველები და სხვა

²¹ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის /თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შუალედური ანგარიში; <https://cesko.ge/eng/static/3646/municipalitetis-tsarmomadgenlobiti-organos-sakrebulo-da-tvitmartveli-galaqis-tvitmartveli-temis-meris-2021-tslis-2-oqtombris-archevnebis-shualeduri-angarishi>

²² ცესკოს #8/2012 დადგენილების 1-ლი მუხლი

²³ ცესკოს #55/2021 დადგენილების მე-10 მუხლი

²⁴ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-8, 21-ე და 75-ე მუხლები; ცესკოს 26 ივლისის N40/2021 დადგენილება

გასაჩივრების მიზნით ამ კადრების გამოთხოვის შესაძლებლობა, ამ ღონისძიების ეფექტიანობა ჯერ კიდევ საეჭვოა. ასევე გამოიცადა საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული სკანირება მე-4 საოლქო საარჩევნო კომისიის 31 უბანზე (თბილისი)²⁵.

ცესკომ ასევე მიიღო ანტი-ეპიდემიური ზომები. სამედიცინო, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და პარტიის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ, ცესკომ მიიღო COVID-19-თან დაკავშირებული ოთხი დადგენილება, რომელიც არეგულირებს წვდომას საარჩევნო ოფისებსა და ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე, ასევე, იზოლაციაში მყოფი პირების მიერ ხმის მიცემას. ინდივიდუალური და ჯგუფური პრევენციის ღონისძიებების გარდა, ტარდებოდა ყოველკვირეული უფასო ანტიგენის სწრაფი ტესტირება საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისათვის. ცესკოს მონაცემებით, ტრენინგში მონაწილე კომისიების წევრთა 100%-მა გაიარა ტესტირება.

ინტენსიური თერაპიის განყოფილებასა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უფლების განხორციელების გასაადვილებლად შეიქმნა ერთი დამატებითი საუბნო საარჩევნო კომისია (დამატებითი საარჩევნო უბანი) საქართველოს თითოეულ საარჩევნო ოლქში (სულ 73 საუბნო საარჩევნო კომისია), რომელმაც ამ ამომრჩევლებისათვის უზრუნველყო მობილური ხმის მიცემა.

ცესკო მართავდა საარჩევნო პროცესის ტექნიკურ ასპექტებს კანონში მითითებული ვადების დაცვით, გამჭვირვალედ და პროფესიონალურად.

სუბრეგიონალურ დონეზე, მუნიციპალური არჩევნები ორგანიზებული იქნა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. იმის გამო, რომ 162 მუდმივმოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა 2021 წლის თებერვალში, 141 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ხელახლა იქნა არჩეული (მათგან 35 მეოთხე ვადით). საერთო ჯამში, ცესკომ კონკურსის საფუძველზე შეარჩია საოლქო საარჩევნო კომისიის 584 წევრი. არაპარტიული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების კანდიდატების გასაუბრებების უმეტესობა ცესკომ განახორციელა პირდაპირ ეთერში.

პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს და დანიშნოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 3 კვირით ადრე. პარტიას უფლება აქვს, კენჭისყრის დღემდე ბოლო 3 კვირის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუძლებელია პირის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელება.²⁶

სადამკვირვებლო მისიამ მოინახულა 10 საოლქო საარჩევნო კომისია თბილისში. ყველა დაკვირვებულმა საოლქო საარჩევნო კომისიამ შეასრულა მუნიციპალური არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ყველა კანონიერი ვადა და ჩაატარა რეგულარული შეხვედრები, რომლებიც ღია იყო არჩევნების მონაწილეების, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის.

²⁵ამასთან, თბილისის საარჩევნო უბნებზე გამოიცადა საარჩევნო კაბინის ახალი დიზაინი, რომელიც, ცესკოს წარმომადგენლების თანახმად, მიზნად ისახავდა ბიულეტენისათვის სურათის გადაღების ან ბიულეტენის უბნიდან გატანის პრევენციას.

²⁶ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-20 მუხლი

არჩევნებს მართავდა 3,746 საუბნო საარჩევნო კომისია, რომელთაგან 3,664 იყო ჩვეულებრივი საუბნო საარჩევნო კომისია, 9 სპეციალური საუბნო საარჩევნო კომისია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და 73 სპეციალური საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ორგანიზებას უწევდა კარანტინში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობას.

საუბნო საარჩევნო კომისიები შედგება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შერჩეული რვა და პარტიის მიერ წარდგენილი ცხრა წევრისგან. საუბნო საარჩევნო კომისიები სრულად ახორციელებენ უფლებამოსილებას მათ ტერიტორიულ საზღვრებში.²⁷ საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ანალოგიურად. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის ვადები რჩება პრობლემად, რადგანაც გამოწვევაა სრულმასშტაბიანი კონკურსის ჩატარება პროფესიონალი წევრების შესარჩევად, გასაუბრების ეტაპის ჩათვლით, და საუკეთესო კანდიდატების გამოვლენა ამ მოკლე დროში, რათა დაცული იყოს გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპები²⁸.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა საერთო რაოდენობიდან 31,714 არჩეულ იქნა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, 31,397 - წარდგენილ იქნა პოლიტიკური პარტიების მიერ. საარჩევნო ადმინისტრაციის უფრო მაღალი დონისგან განსხვავებით, საუბნო საარჩევნო კომისიების ფორმირებაში იყო გარკვეული სირთულეები. საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობას ჰყავდა ზუსტად რვა კანდიდატი რვა არაპარტიული ვაკანსიისათვის, რამაც, ფაქტობრივად, გამოიწვია რაიმე სახის კონკურენცია. ამავე დროს, 903 კანდიდატი გამოირიცხა იმის გამო, რომ ისინი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ წინა საპარლამენტო არჩევნებში. ENEMO-სთან საუბრებში გააკრიტიკეს საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალი წევრებით დაკომპლექტების პროცესი.

ასევე აუცილებელია აღინიშნოს სირთულეები საუბნო საარჩევნო კომისიებში პარტიის კვოტების შევსებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რეგიონებში, რამაც გამოიწვია შემადგენლობის მრავალჯერ შეცვლა და, შესაძლოა, გავლენა იქონია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ზოგად პროფესიულ დონეზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის წვდომის გაზრდის მიზნით, 348 საუბნო საარჩევნო კომისიაში გამოყენებულ იქნა ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები: 211 საუბნო საარჩევნო კომისიაში - აზერბაიჯანულად; 133 საუბნო საარჩევნო კომისიაში - სომხურად და 4 საუბნო საარჩევნო კომისიაში - ამ ორივე ენაზე.

იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო უბნების უმეტესობა განთავსებულია საზოგადოებრივ შენობებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლისთვის შესვლა გაუმჯობესებულია, 1,128 საარჩევნო უბანი დამატებით იყო აღჭურვილი და სრულად ადაპტირებული ლოკომოტორული შეზღუდვის მქონე ამომრჩეველთათვის (ეტლით სარგებლობა). ასევე, გამოიყენებოდა ჩარჩოს სპეციალური ფორმა, გამადიდებელი ლინზა და, მოთხოვნისამებრ, შესაძლებელი იყო ხმოვანი ასისტენტის გამოყენება²⁹.

იმის მიუხედავად, რომ ცესკოს სასწავლო ცენტრი, IFES-თან თანამშრომლობით, ახორციელებდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შვიდეტაპიან დისტანციურ (ონლაინ) და არადისტანციურ ტრენინგებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მეშვეობით, საუბნო საარჩევნო

²⁷ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 26-ე მუხლი

²⁸ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მე-8, 21-ე, 25-ე მუხლები

²⁹ იხ. არჩევნების დღე

კომისიის პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული კომისიის წევრები არ ესწრებოდნენ ხსენებულ ტრენინგებს სრულად, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შემადგენლობაში მრავალჯერადი ცვლილების გამო. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც პარტიების მიერ დასახელებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ თავიანთი მოვალეობებისათვის. ამან გამოიწვია გარკვეული გაუგებრობა, რადგან ყველა კომისიის წევრს უნდა ესმოდეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში ისინი არ მუშაობენ მათი წარმდგენი მხარეების ინტერესების გასატარებლად.

ცესკოში მხოლოდ ოთხი ქალია, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე ქალები შეადგენდნენ უმრავლესობას.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც არჩევნების დღისათვის მიაღწიეს 18 წლის ასაკს. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. არჩევნებში არ მონაწილეობენ მოქალაქეები, რომლებიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო და ის პირები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელადსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან.³⁰ სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი ამომრჩევლების სრულად გამორიცხვა აცდენილია საერთაშორისო სტანდარტებს.³¹

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიურად, მუდმივად და ცენტრალიზებულად ხორციელდება. ცესკო ამომრჩეველთა სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ყოველკვარტალურად განახლებადი რეესტრისა და სხვა უწყებების მონაცემების საფუძველზე ადგენს. ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებაზე. ENEMO-სთან საუბრებში არ გამოკვეთილა განსაკუთრებული წახილი ამომრჩეველთა სიების სისწორესთან დაკავშირებით.

ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიებს მიაწოდეს ამომრჩეველთა საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ერთიანი სია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებმა წარმოადგინეს დაზუსტებული სიების საბოლოო, საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული სიის ვერსია და საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები.

³⁰ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი; ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი: მითითებები და განმარტებითი ბარათი, CDL-AD (2002) 23, ვენეცია, 5-6 ივლისი და 18-19 ოქტომბერი, 2002 წ.

³¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის [CRPD](#) 29-ე მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს „უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური უფლებები და ამ უფლებებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები“. ასევე იხ. [CRPD-ს მუხლი 12-თან დაკავშირებული N1 ზოგადი კომენტარის](#) პუნქტი 48.

ამომრჩევლებს 14 სექტემბრამდე ჰქონდათ სხვადასხვა საშუალებებით საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმებისა და შესწორების მოთხოვნის შესაძლებლობა³².

ამომრჩეველთა საბოლოო სიაში რეგისტრირებული იყო 3,497,345 ამომრჩეველი: 1,874,119 ქალი და 1,623,226 მამაკაცი. ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისშია და შეადგენს 1,002,900 ამომრჩეველს. 39,135 ამომრჩეველი არჩევნებში პირველად იღებდა მონაწილეობას.

მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ ხმის მისაცემად გადასატანი ყუთი. ამისათვის მათ, კენჭისყრამდე სულ მცირე ორი დღით ადრე (29 სექტემბერი), წერილობითი ფორმით ან ტელეფონის მეშვეობით უნდა მიემართათ იმ საარჩევნო ოლქისთვის, სადაც ისინი იყვნენ რეგისტრირებულნი. გადასატანი ყუთის სიებში შეჰყავთ ის პირები, რომლებსაც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ აქვთ კენჭისყრის შენობაში მისვლის შესაძლებლობა, ასევე, ის პირები, რომლებიც იმყოფებიან საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილზე. თუმცა ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

იზოლაციაში მყოფ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ 25-დან 27 სექტემბრამდე დაერეკათ ცესკოს საინფორმაციო ცენტრში და მოეთხოვათ გადასატანი ყუთით სარგებლობის უფლება. თუმცა იმ ამომრჩეველს, რომელიც 27 სექტემბრის შემდეგ დაინფიცირდა, ხმის მიცემის შესაძლებლობა არ მიეცა.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს 21 წელს მიღწეული ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც უცხოვრია საქართველოში 5 წელზე მეტხანს. ამასთან, საარჩევნო კოდექსის თანახმად, თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატები ქართულ ენას უნდა ფლობდნენ. პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიის წარდგენა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ. ქალების მონაწილეობის ხელშესაწყობად, პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიის წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ პარტიებს, რომელთა სიებში ყოველ სამ კანდიდატს შორის სულ მცირე ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელია³³.

საარჩევნო კოდექსში 2021 წლის ივლისში შეტანილი ცვლილების შედეგად პროპორციულ სიაში ქალი კანდიდატების რაოდენობა შემცირდა³⁴. ეს ცვლილება პირველი მოსმენისას საერთოდ არ წამოჭრილა და გაჟღერდა მხოლოდ მეორე მოსმენისას. ცვლილება არ ეფუძნება საკმარისად ინკლუზიურ დისკუსიას. კანონპროექტის ავტორებმა განაცხადეს, რომ ახალი ნორმა უზრუნველყოფს ქალთა თითქმის იმავე რაოდენობის წარმომადგენლობას საკრებულოებში, როგორც 2020 წლის ცვლილებები ითვალისწინებდა და რომ ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ საარჩევნო სისტემაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, საკრებულოს პროპორციული გზით არჩეული წევრების რაოდენობის ზრდა, დააკომპენსირებს კვოტის შემცირებას.

³² ცესკოს თანახმად, ამომრჩევლებმა საკუთარი მონაცემები სიებში სხვადასხვა გზით 1,015,186-ჯერ გადაამოწმეს.

³³ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლი.

³⁴ იხ. თავი ქალთა მონაწილეობის შესახებ.

მერად შეიძლება აირჩეს ხმის მიცემის უფლების მქონე 25 წელს მიღწეული ნებისმიერი მოქალაქე. მერობის კანდიდატებისა და საკრებულოების მაჟორიტარული წესით ასარჩევი წევრების დასახელება შეუძლიათ პარტიებს და სულ მცირე ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს.

პარტიები და საინიციატივო ჯგუფები დარეგისტრირდნენ შესაბამისად ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში. იმ პარტიებმა, რომლებსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ ან არ იყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში ადგილობრივი არჩევნებს ჩატარების მომენტისათვის, ცესკოში წარადგინეს მხარდამჭერთა სიები 25,000 ხელმოწერით³⁵. ამ გზით ცესკოში შვიდი პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა. სამ პოლიტიკურ პარტიას რეგისტრაციის ვადების დაუცველობის, ხელმომწერთა არასაკმარისი რაოდენობისა და მონაცემების გასწორების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია თავად გამოითხოვა უკან.

საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის ან მერობის კანდიდატის წარსადგენად საინიციატივო ჯგუფმა თითოეული კანდიდატისთვის შეაგროვა მხარდამჭერთა ხელმოწერები საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის მიხედვით³⁶. მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა ამომრჩევლთა რაოდენობის ერთი პროცენტის ტოლი უნდა იყოს³⁷, რაც შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას.

რეგისტრაცია გაუუქმდა ხუთ პოლიტიკურ პარტიას იმ მიზეზით, რომ მათ კანდიდატები არ დაასახელეს. კანდიდატების უკან გაწვევის გამო, საარჩევნო კამპანიის დასკვნით ეტაპზე კანდიდატების რაოდენობა შემცირდა. ENEMO-სთან საუბრებში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელმა გარკვეულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ კანდიდატებზე განხორციელდა ზეწოლა იმ მიზნით, რომ მათ მოეხსნათ კანდიდატურები. პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ 7 სექტემბერს ცესკომ დაადგინა, რომ არჩევნებში დაიშვებოდა ისეთი პროპორციული სიებიც, რომლებშიც კანდიდატთა რაოდენობა მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები იყო.

სულ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოს 52-მა პარტიამ მიმართა, რომელთაგან ცესკოში დარეგისტრირდა და არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 43-მა პარტიამ და ამომრჩევლთა 71 საინიციატივო ჯგუფმა. ასევე რეგისტრაციაში გატარდა 31 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია³⁸.

საერთო ინკლუზიურ პროცესში, ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაარეგისტრირეს მერობის 239 კანდიდატი: თბილისის მერობის კანდიდატად დარეგისტრირდა 16 პირი (4 ქალი), ოთხი თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატად - 24 პირი, ხოლო 59 თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატად – 199 პირი. გარდა ამისა, თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირდა 1,866 პირი (1,728 პირი პროპორციული საარჩევნო სისტემის

³⁵ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 142-ე მუხლი.

³⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“, 141-ე მუხლი

³⁷ ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი: მითითებები და განმარტებითი ბარათი, მუხლი 1.3, CDL-AD (2002) 23, ვენეცია, 5-6 ივლისი და 18-19 ოქტომბერი, 2002 წ.

³⁸ ცესკოს შუალედური ანგარიში, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მუნიციპალური არჩევნები

<https://cesko.ge/eng/static/3646/municipalitetis-tsarmomadgenlobiti-organos-sakrebulo-da-tvitmartveli-galaqis-tvitmartveli-temis-meris-2021-tslis-2-oqtombris-archevnebis-shualeduri-angarishi>

საფუძველზე და 138 პირი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე), ხოლო ადგილობრივი საკრებულოს წევრობის კანდიდატებად - 21,527 პირი (18,896 პირი პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და 2,631 პირი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე).

მაჟორიტარული სისტემით კანდიდატების საერთო რაოდენობა 664 ერთმანდატიან საარჩევნო უბანზე და 773 პროპორციულ სიაში 2,769 იყო. გარდა ამისა, ცესკომ დაარეგისტრირა 43 კანდიდატის 56 წარმომადგენელი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა - 602 წარმომადგენელი.

საარჩევნო კამპანია და კამპანიის ფინანსები

ა. კამპანიის გარემო

საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო 3 აგვისტოს, არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე. კამპანია მიმდინარეობდა დამუხტულ ატმოსფეროში, 64 ოლქში საკრებულოს წევრებისა და იმავე რაოდენობის მერების ასარჩევად. წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდნენ 43 პარტიისა და 71 საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატები, რომლებიც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა.

კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და სხვა მოხელეების ზუსტი სია, რომელთაც ეზღუდებათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თავისუფლება.³⁹

³⁹ ამ სიის მიხედვით წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება ეზღუდებათ შემდეგ პირებს: საარჩევნო კომისიის წევრს; მოსამართლეს; საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებს; გენერალურ აუდიტორს; საქართველოს სახალხო დამცველს; უცხო ქვეყნის მოქალაქესა და ორგანიზაციას; საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს; საჯარო მოსამსახურეს-სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სახელოვნებო დაწესებულებებისა, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა) თანამშრომლებს, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თანამშრომლებს, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორისა, აღმზრდელ-პედაგოგებს, აღმზრდელს, მასწავლებელს, იქ დასაქმებული სხვა პირისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.

აკრძალულია შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებების შენობებში კამპანიის ჩატარება: საქართველოს აღმასრულებელი უწყებების, სასამართლოებისა და სამხედრო ნაწილების შენობები. იკრძალება სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებული ღონისძიებების გამოყენება კამპანიის მიზნებისათვის.

პოლიტიკურმა კრიზისმა, ასევე, მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულმა რიგმა სისტემურმა თუ ინსტიტუციონალურმა განხეთქილებებმა არსებით პოლიტიკურ თუ პრეპოლიტიკურ საკითხებზე საქართველოში მუდმივი დაპირისპირების დისკურსი წარმოშვა. შედეგად, უკვე წლებია, რაც საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობის საკითხები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ყურადღების მიღმა დარჩენილი. მოცემულ პოლიტიკურ კონტექსტში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა ეროვნულ (და საერთაშორისო) პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების სიჭარბე, რაც მოხდა ადგილობრივი პრობლემებისა და მოქალაქეთა თუ საზოგადოების ჯგუფების საჭიროებების შესახებ მსჯელობისა და მათი გადაწყვეტის გზების საზიანოდ.

აღნიშნული გამოიკვეთა იმ მხრივაც, რომ ეროვნული დონის პოლიტიკოსები გადაჭარბებულად იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივ დონეზე, სადაც საკრებულოსა და მერობის ადგილობრივ კანდიდატებს ჩრდილავდნენ პარტიების ლიდერები, მმართველი პარტიის შემთხვევაში კი მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

ადგილობრივი გამოწვევების მიმართ ეროვნული და საერთაშორისო საკითხების დომინირების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობაში ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული საარჩევნო პროგრამების სიმცირე ან/და ხშირ შემთხვევაში მათი არარსებობა. მმართველი პარტიის შემთხვევაში, ადგილობრივ გამოწვევებთან დაკავშირებული პროგრამა და გზავნილები წარმოდგენილი და ხილული იყო, მაგრამ მაინც იჩრდილებოდა ეროვნული დონის პოლიტიკით.

პანდემიური პირობების გამო, კლასიკური კამპანიის აქტივობები შემცირდა და ის ძირითადად მიმდინარეობდა მედიისა და სოციალური მედიისა პლატფორმებზე, დროდადრო კი კარდაკარ და საჯარო თავშეყრის (მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობით) მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ შეკრების თავისუფლება მთლიანობაში დაცული იყო, ENEMO-მ შეიტყო არაერთი ბრალდება მმართველი პარტიის მხარდამჭერების მხრიდან ოპოზიციური პარტიების შეკრებებში ჩარევის შესახებ. ზოგიერთმა ამ ჩარევამ გამოიწვია ძალადობრივი ხასიათის უფრო არსებითი ინციდენტები, რაც გარკვეულ შემთხვევებში დასრულდა ოპოზიციური აქტივისტების სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი თავდასხმით.⁴⁰

პარტიებმა, განსაკუთრებით მმართველმა პარტიამ, კამპანიის დროს დამატებით გამოიყენეს ბილბორდები, ქალაქის განათება და პლაკატები. გარდა ამისა, ქართულ ოცნებას სოციალური და ტრადიციული მედიის პლატფორმებზე განთავსებული ჰქონდა უმაღლესი ხარისხის

⁴⁰ <https://agenda.ge/en/news/2021/2757> , „მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვაჟი დააკავს დმანისში ორი ადამიანის დაჭრის გამო“.

სარეკლამო ვიდეოები. ეს პირდაპირ ადასტურებს კამპანიის პერიოდში ოპოზიციური პარტიების დანახარჯებთან შედარებით მმართველი პარტიის ფინანსურ უპირატესობას.⁴¹

ბილბორდებზე, პოზიტიური კამპანიის გარდა, იყო უამრავი ცილისწამებისა და პერსონალური თავდასხმების შემთხვევა.⁴² რაც შეეხება იმ ქმედებებსა თუ მეთოდებს, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის პროცესის ხელშეშლის უფრო სერიოზულ დარღვევებზე მიანიშნებს, მათზე მისიასთან შეხვედრებისას ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება. მათი მტკიცებით, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ნიშანდობლივი იყო დაშინების, მუქარის, ძალადობის, მოსყიდვის მცდელობებისა და მათი წევრების ან კანდიდატების გატაცების შემთხვევები. პარტიები წუხდნენ რომ, შემთხვევების უმრავლესობას ინსტიტუციური გამოძიება შეუძლებელი იყო ძალადობისა და ზეწოლის გამო, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევას სისტემის ინსტიტუციებში გარკვეული პროგრესი ჰქონდა.

კამპანიის ინტენსიურობა მაღალი იყო მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში და ძირითადად დისკუსიები მიმდინარეობდა პოლიტიკური სუბიექტების მიერ წამოჭრილ აქტუალურ საკითხებზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მმართველი და ოპოზიციური პარტიების დისკურსი ინტენსივობის უმაღლეს დონეზე იყო, აშკარაა, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის თანამშრომლობა და ტოლერანტობა ახალ, ბევრად უფრო პოზიტიურ და შემწყნარებელ დონეზე ავიდა. ეს სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას დაადასტურა ოპოზიციური პარტიების ყველა წარმომადგენელმა.

მმართველმა პარტიამ ისარგებლა მოქმედი თანამდებობებით; სახელმწიფო მოხელეები მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის მხარდამჭერ კამპანიაში, მაშინ როდესაც შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიგნებებიც მიუთითებდნენ თანამდებობის პირების და მოხელეების ჩართულობაზე საარჩევნო კამპანიაში. ზოგადი შენიშვნის სახით, მაღალი და სხვა რანგების საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობამ, ასევე სახელმწიფო სახსრებიდან დაფინანსებულ ეროვნულ და ადგილობრივ პროექტებზე ქართული ოცნების კანდიდატების მხარდაჭერამ ბუნდოვანი გახადა ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.

⁴¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა, ჯამში, დაახლოებით 7,600,097 ლარი, ანუ 68.56%. დანარჩენი 31,44% ანუ 3,484,464 ლარი დაიხარჯა სხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან. <https://monitoring.sao.ge/en/about/activities>

⁴² ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა იყო ბილბორდების გამოყენება, სადაც გამოსახული იყო არაერთი ძირითადი ოპოზიციური ლიდერისა და ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის სახეები წარწერით "არა ნაცისტებს. არა ბოროტებს. არა ღალატს". 18 სექტემბერს, ბიზნესმენმა ტელეკომპანია რუსთავი 2 - ს განუცხადა, რომ ის და მისი მეგობრები იდგნენ ბილბორდების უკან და რომ ისინი არ ეკუთვნიან არცერთ პოლიტიკურ პარტიას და მათ მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების ადკვეთა სურდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის მესამე მხარის კამპანიის ნათელი მაგალითი.

პარტია "საქართველოსთვის" ლიდერის, გიორგი გახარიას მიმართ ბრალდებებმა მისი ნარკოდამოკიდებულების შესახებ, ასევე, დიდი ყურადღება მიიპყრო მედიაში და გააჩინა დისკუსიები პოლიტიკურ და მედია მანიპულაციებზე.

ქართულმა ოცნებამაც გაავრცელა ინფორმაცია მათი მაღალი თანამდებობის პირების და პარტიის მიმართ წამოწყებული ცილისწამებულური კამპანიის და მათი კანდიდატების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ, როგორც სოციალურ მედიაში, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების გამოსვლებში.

რაც შეეხება იმ ქმედებებსა თუ მეთოდებს, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის პროცესის ხელშეშლის უფრო სერიოზულ დარღვევებზე მიანიშნებს, მათზე მისიასთან შეხვედრებისას ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება. მათი მტკიცებით, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ნიშანდობლივი იყო სავარაუდო დაშინების, მუქარის, ძალადობის, მოსყიდვის მცდელობებისა და მათი წევრების ან კანდიდატების გატაცების შემთხვევები. პარტიები წუხდნენ რომ, შემთხვევების უმრავლესობას ინსტიტუციური გამოძიება შეუძლებელი იყო, ძალადობისა და ზეწოლის გამო, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევას სისტემის ინსტიტუციებში გარკვეული პროგრესი ჰქონდა. საქართველოს სახალხო დამცველმა განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია ოპოზიციის კანდიდატების მიმართ დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევები.⁴³

სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა გამოვლენილ შემთხვევებზე არასათანადო რეაგირების და არაეფექტური გამოძიების გამო ამოხატეს უკმაყოფილება და უნდობლობა პოლიციის მიმართ.

წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად ხდებოდა კამპანიის მასალების (პლაკატების) განადგურება როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიების მხრიდან.

ბ. კამპანიის ფინანსები

პოლიტიკური პარტიებისა და კამპანიის ფინანსები რეგულირდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა“ და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონებით, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი რეგულაციებით. პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებენ⁴⁴ წინა საპარლამენტო არჩევნებში მათ მიერ მიღებული შედეგების პროპორციულად. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ბიუჯეტიდან მიღებული თანხები საარჩევნო მიზნებისთვის. საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, გახსნან სპეციალური საბანკო ანგარიშები და მათი ყველა შემოწირულობა და ხარჯი უნდა განხორციელდეს ამ საბანკო ანგარიშის მეშვეობით.

პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000⁴⁵ ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000⁴⁶ ლარს. აკრძალულია შემოწირულობების მიღება ანონიმური ფორმით, შუამავლების საშუალებით ან იმ პირების მიერ, რომელთა შემოსავალი არ არის საკმარისი შემოწირულობებისთვის. არ შეიძლება პარტიის შემომწირველი იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანო, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოება, უცხოური წყარო, საერთაშორისო და რელიგიური ორგანიზაცია.⁴⁷ შემომწირველი

⁴³ ხელმისაწვდომია: [statement of the Ombudswoman](#).

⁴⁴ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლი; პირველი 50 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.

⁴⁵ დაახლოებით 15,800 ევრო

⁴⁶ დაახლოებით 31,000 ევრო

⁴⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი.

არ შეიძლება იყოს კერძო პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით.⁴⁸

პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის, წინა წლის მონაცემებით - 50 მილიონი ლარის (12.89 მილიონი ევროს) 0.1%-ს.⁴⁹ დამოუკიდებელ კანდიდატს შეუძლია თითო რეგისტრირებულ ამომრჩეველზე დახარჯოს 15 ლარამდე, რაც პარტიებისთვის დადგენილი ხარჯების ზღვრის პროპორციულია. ეს ხარჯები მოიცავს საარჩევნო კამპანიის ხარჯებს, რომელიც გაწეულია როგორც პარტიის, ასევე მესამე პირების მიერ პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ზედამხედველობს პარტიისა და კამპანიის ფინანსებს. არჩევნების დანიშნვიდან სამ კვირაში ერთხელ, არჩევნებიდან 12 დღეში და მეორე ტურამდე სამი დღით ადრე საარჩევნო სუბიექტები სახელმწიფო აუდიტს წარუდგენენ შუალედურ ანგარიშებს წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსებთან დაკავშირებით. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების შუალედური ანგარიშები გამოქვეყნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებსაიტზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ არის ვალდებული გამოაქვეყნოს ფინანსური ზედამხედველობის შედეგები არჩევნების დღემდე, მან 29 სექტემბერს წარადგინა თავისი ანგარიშიც.

ENEMO-ს სადამკვირვებლო მისიასთან არაერთმა ოპოზიციურმა პარტიამ განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პოლიციისა და საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მათი შემომწირველების მიმართ დაშინების და ზეწოლის ფაქტების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ოპოზიციური პარტიებისთვის ფინანსური სახსრების მოსპობას.

მეორე მხრივ, სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს „კამპანიის ფინანსების შედარებით სამართლიან გადანაწილებას“ და დასძინეს, რომ გასულ წელს საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური ხარჯი განაწილებული იყო „დაახლოებით 60:40“ პროპორციით ქართული ოცნების სასარგებლოდ, თუმცა, ქართული ოცნების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ოპოზიციური პარტიების ფინანსები „შესაბამებოდა მათ საარჩევნო შედეგებს“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში მიღებულია 12,871,714 ლარის შემოსავალი, რომელიც ასახულია შესაბამის ანგარიშებზე. აქედან 64.4% - 8,287,870 ლარი მიიღო ქართულმა ოცნებამ. დარჩენილი რაოდენობა 4,583,844 ლარი - 35.6% მიიღო ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ერთად.

⁴⁸ იქვე. 27-ე მუხლი.

⁴⁹ იქვე. მუხლი 25¹.

საარჩევნო სუბიექტების მიერ 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში ჯამურად დახარჯულია 11,084,561 ლარი. აქედან თანხის უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 7,600,097 ლარი - 68.56% დახარჯა ქართულმა ოცნებამ. დარჩენილი 31.44% - 3,484,464 ლარი საერთო ჯამში დაიხარჯა ყველა ოპოზიციური პარტიის მიერ.⁵⁰

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემები და, ზოგადად, საარჩევნო რეკლამები ნათლად აჩვენებს, რომ ფინანსების უპირატესი ნაწილი დაიხარჯა მმართველი პარტიის პოლიტიკურ და კამპანიურ უპირატესობაზე, მთლიანი ოპოზიციური სპექტრის კამპანიური შესაძლებლობებისა და სამართლიანი კონკურენციის პოტენციალის საზიანოდ.

მედია

ა. მედიაგარემო

საერთო ჯამში, მედია ლანდშაფტი საქართველოში არის პლურალისტური, მაგრამ პოლარიზებული და პოლიტიკური ინტერესებისგან დაუცლელი, რაც გავლენას ახდენს მედიისა და მათი სარედაქციო პოლიტიკის მიმართ საერთო ნდობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მედიის უმეტესობა ხელმისაწვდომია ინტერნეტით, ტელევიზია მაინც ინფორმაციის მთავარი წყაროა, რასაც მოყვება ონლაინ და სოციალური მედია.⁵¹ მედია შედგება 101 ავტორიზირებული მაუწყებლისგან, საიდანაც 11 ტელე და 82 რადიომოაუწყებელია.⁵² ENEMO-ს სადამკვირვებლო მისია შეხვდა შესაბამისი მედიების წარმომადგენლებს და აწარმოა სოციალური მედიის შეზღუდული მონიტორინგი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო Facebook-ზე პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობას.

სამართლებრივი ჩარხო, რომელიც არეგულირებს მედიას, წინასაარჩევნო პერიოდში მოითხოვს რომ მაუწყებელმა უზრუნველყოს მოვლენების სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება.⁵³ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად გარანტირებულია სიტყვისა და საერთო მედიათავისუფლება, აღსანიშნავია ბოლოდროინდელი შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები დადგნენ ძალადობის, დაშინებისა და მუქარის წინაშე.⁵⁴

⁵⁰ ქართული ოცნება - 7,600,097 ლარი, ლელო - 796,369 ლარი, საქართველოსთვის - 703,604 ლარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 521,304 ლარი, გირჩი - 454 330 ლარი, ევროპული საქართველო - 330,962 ლარი, ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები 213,4040 ლარი, პატრიოტთა ალიანსი - 125,947 ლარი, მესამე ძალა - 103,431 ლარი, სხვები - 235,113 ლარი.

⁵¹ IRI-ს გამოკითხვა, ივნისი 2021.

⁵² ყველაზე პოპულარული ტელევიზიებია: იმედი, მთავარი არხი, რუსთავი 2, TV პირველი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და ფორმულა.

⁵³ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო შეთანხმებები, მაუწყებლობის შესახებ კანონი, კანონი პრესისა და მედიის შესახებ, კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, საქართველოს საარჩევნო კოდექსი და სხვა.

⁵⁴ LGBT პრაიდის დროს, 2021 წლის 5 ივნისს, 50-ზე მეტ ჟურნალისტს დაესხნენ თავს, ერთ-ერთი ჟურნალისტი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ანტი-LGBT პროტესტის მონაწილეებმა სცემეს.

მედია სივრცე შესამჩნევად პოლარიზებული იყო საარჩევნო პერიოდში. პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ, არაჯანსაღ მედია გარემოში, ასევე, მედიის მიმართ გავრცელებული მუქარისა და ნეგატიური საზოგადოებრივი ნარატივის ფონზე, ვერ შედგა პოზიტიური პოლიტიკური კამპანია, არამედ ის ხასიათდებოდა პოლიტიკურ ოპონენტთა შორის ორმხრივი ბრალდებებითა და კრიტიკით. ამასთან, ENEMO-ს მისიასთან საუბრებში გამოიკვეთა სიდრმისეული მედია რეპორტაჟებისა თუ ანალიზის ნაკლებობა, რაც ხარისხიანი პოლიტიკური დებატების სივრცეს არ ტოვებდა.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინა არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, უფასო სარეკლამო დრო ეძლევა 9 პარტიას.⁵⁵ ENEMO-სთან საუბრისას არჩევნებში ჩართული მხარეები აცხადებდნენ, რომ საარჩევნო პერიოდი ხასიათდებოდა მადისკრედიტირებული კამპანიითა და კანდიდატებს შორის პრობლემებზე ორიენტირებული დებატების ნაკლებობით. ობიექტური ინფორმაციის არარსებობა აისახება ამომრჩევლის შესაძლებლობაზე, გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. ENEMO-სთან საუბრებში ასევე წუხდნენ, რომ კამპანიის გარემოზე ზემოქმედებას ახდენდა ფართოდ გავრცელებული დეზინფორმაციის ტაქტიკა, მაგ: ნეგატიური კამპანია, სიძულვილის ენა და არატოლერანტული რიტორიკა.

ENEMO-სთან საუბრებში მედიის წარმომადგენლებმა გამოხატეს იმედგაცრუება პოლიტიკური პირების მიერ მათ მიმართ წარმოებული ნეგატიური საჯარო ნარატივების, ჟურნალისტების მიმართ სავარაუდო დამინებებისა და ძალადობის, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩევლებისა და მედიისათვის შექმნილი პირობების გამო. კერძოდ, ცესკოს ინფორმაციული უსაფრთხოების ცენტრმა გამოაქვეყნა მედია მონიტორინგის ანგარიში 01.09.2021 წ. - 10.09.2021 წ. პერიოდში,⁵⁶ რომელიც ეფუძნებოდა 200-ზე მეტი ტელემაუწყებლის (რეგიონალური და ეროვნული) და ონლაინ პლატფორმის, ასევე 300 Facebook გვერდისა და ჯგუფების მონიტორინგს. სხვა მონაცემებთან ერთად, ანგარიში მოიცავს 37 მედიასაშუალებას,⁵⁷ კერძოდ, ძირითადად, მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედიას, რაც ანგარიშში კატეგორიზებულია „ყალბი ინფორმაციის წყაროდ“. აღნიშნულმა შეიძლება

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოძიება არასათანადოდ ჩატარდა და, ENEMO-ს სადამკვირვებლო მისიის პერიოდში, საქართველოს პარლამენტის წინ ჟურნალისტები აპროტესტებდნენ აღნიშნულს.

⁵⁵ „ქართული ოცნება“, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ბლოკი შედგება შემდეგი პოლიტიკური პარტიებისგან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მოძრაობა - სახელმწიფო ხალხისათვის“, „პროგრესი და თავისუფლება“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ევროპელი დემოკრატები“) საარჩევნო ბლოკი „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“ (ბლოკი შედგება შემდეგი პოლიტიკური პარტიებისგან: „გიორგი ვაშაძე - კანონი და სამართალი“, „კანონი და სამართალი“), „ევროპული საქართველო“, „ლელო“, „პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი და ალექო ელისაშვილი - მოქალაქეები“ დებულობდნენ უფასო საეთერო დროთი.

⁵⁶https://cesko.ge/res/docs/ReportInformationProtectionCenterIIGeo.pdf?fbclid=IwAR3XhpEZPkG6ZARpjWqYnG6Az4P1mc4hbXplHDVWiA0AJi_ivQexqVDw8o

⁵⁷ სია მოიცავს: 1tv.ge, accent.com.ge, batumelebi.ge, cec.org.ge, epn.ge, euronews.ge, factcheck.ge, firstnews.ge, for.ge, formulanews.ge, frontnews.ge, gurianews.com, guriismoambe.com, ipn.ge, ipress.ge, itv.ge, kvira.ge, megatv.ge, mkhare.ge, mtavari.tv, netgazeti.ge, newpress.ge, newpost.ge, newspress.ge, newsreport.ge, on.ge, pirveliradio.ge, presa.ge, primenewsgeorgia.ge, publika.ge, qvemorqartli.ge, rustavi2.ge, sknews.ge, tabula.ge, timer.ge, tv25.ge, tvpirveli.ge.

გამოიწვიოს საარჩევნო პერიოდში მედიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შემცირება. ENEMO-სთან დაინტერესებულმა მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება ცესკო-ს მიერ ამ ანგარიშის შედეგების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

გაჟღერებული ბრალდებების თანახმად, პოლიტიკური პარტიები მედია კამპანიისას იყენებდნენ დეზინფორმაციას, არაავთენტურ და მანიპულირებად ქცევებს, ასევე, უცხო ძალების გავლენას. ENEMO-სთან საუბრებში გაჟღერდა, რომ მედია საშუალებებით უცხო ძალების ჩარევა ძირითადად ხდება რუსეთიდან, იგი ვლინდება ანტიდასავლური და ვაქცინაციის საწინააღმდეგო ნარატივების გამოყენებაში, ხშირად მათი რიტორიკა მიმართულია მგრძობიარე თემებზე, რაც იწვევს მოქალაქეთა დაყოფას და სიძულვილის გაღვივებას მედიის საშუალებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლადია ეთნიკური უმცირესობები, რომლებსაც შეზღუდული წვდომა აქვთ ქართულ მედიაზე ენობრივი ბარიერის გამო.

საქართველოს კანონმდებლობით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (სკეკ) ახორციელებს მედიასაშუალებების ზედამხედველობას საარჩევნო კამპანიის დროს. კომისია განსაზღვრავს საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესს, ზედამხედველობს მაუწყებლების მიერ შესაბამისი ნორმების დაცვას და რეაგირებს დარღვევებზე. სკეკ-ის ანგარიშის მიხედვით,⁵⁸ ტრადიციული მედიის შემთხვევაში 56-მა საერთო მაუწყებელმა საარჩევნო პერიოდში დროის უმეტესი ნაწილი დაუთმო ნეგატიური თუ პოზიტიური ტონით საქართველოს მთავრობის, შემდეგ - ქართული ოცნების განხილვას.⁵⁹ ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის თაობაზე თვითრეგულირების მედიაკომისიებში არ შესულა საჩივრები.⁶⁰ გარდა ამისა, მაუწყებლებმა პოლიტიკურ სუბიექტებს მიაწოდეს უფრო პირდაპირი, ვიდრე არაპირდაპირი საეთერო დრო.⁶¹

წინასაარჩევნო პერიოდის დროს, 60 დღის განმავლობაში, კომისიამ ჩაატარა მედიამონიტორინგი მედიასაშუალებების მიერ პოლიტიკური გაშუქების წესების დარღვევის, ასევე, სამართლიანობისა და გაშუქების ტონის მიმართულებით.⁶² მათი მონიტორინგის მიგნებებისა და გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, კომისია ატარებს საჯარო განხილვებს და იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ანგარიშის შევსების შესახებ.

აღნიშნულ პერიოდში, სკეკ-მა გამოსცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 11 ანგარიში. აქედან 8 წარმოადგენდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლთან დაკავშირებულ დარღვევებს⁶³, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან

⁵⁸ კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები (03.08.2021 – 02.09.2021), <https://comcom.ge/uploads/other/8/8472.pdf>

⁵⁹ ანგარიშის მიხედვით, იმედ

⁶⁰ იქვე

⁶¹ იქვე

⁶² კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა, შედეგები (03.08.2021. - 02.09.2021.), <https://comcom.ge/uploads/other/8/8471.pdf>.

⁶³ <https://matsne.gov.ge/en/document/view/1557168?publication=69>

დაკავშირებული წესების დარღვევისას.⁶⁴ ერთ-ერთი მაუწყებელი⁶⁵ სამჯერ⁶⁶ დაჯარიმდა, საარჩევნო კოდექსის 194-ე მუხლის დარღვევისათვის. მან „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ უარი უთხრა პოლიტიკური რეკლამის გაშვებაზე, რაც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ბ. ონლაინ და სოციალური მედია

იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს ციფრული ტექნოლოგიების განვითარების, ონლაინ და სოციალური მედიის ქსელების პოპულარობისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მათი გავლენის და, ამასთან, კოვიდ-19-ით გამოწვეული სპეციფიკური სიტუაციის გამო, პარტიების პოლიტიკური კამპანიები სოციალურ მედიაშიც ჩატარდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მსგავსად, ქართული კანონმდებლობა არ შეიცავს არანაირ ნორმას, რომელიც პირდაპირ დაარეგულირებდა ონლაინ და სოციალურ მედიას. ასევე, არ არსებობს რაიმე წესი საარჩევნო კამპანიისას პოლიტიკური პარტიების ქცევასთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში.

2021 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ENEMO-მ გამოიყენა CrowdTangle პლატფორმა სოციალურ მედიაში პოლიტიკური პარტიების აქტივობის მონიტორინგისთვის და ყურადღება გაამახვილა Facebook-ზე. ENEMO მონიტორინგს უწევდა პოლიტიკური პარტიების⁶⁷ 11 Facebook გვერდს 2021 წლის 2 აგვისტოდან 2021 წლის 2 ოქტომბრამდე. პოსტების ჯამურმა რაოდენობამ ამ პერიოდში შეადგინა 3.246, ხოლო ინტერაქციამ - 993.537⁶⁸. ჯამური პოსტების რაოდენობის მხრივ, ყველაზე აქტიური იყო „საქართველოსთვის“ 532 ჯამური პოსტით, შემდეგ - „ლელო საქართველოსთვის“ 479, „ქართული ოცნება“ - 392, „გირჩი“ - 307, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ - 291, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 240 პოსტით. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვებულ გვერდებს შორის ყველაზე ნაკლებად აქტიური იყო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 131 ჯამური პოსტით. მონაცემები მიუთითებს, რომ ყველა ინტერაქციის 49,3% მოდიოდა მხოლოდ ერთ პარტიაზე - „ქართულ ოცნებაზე“ (490.237 ჯამური ინტერაქცია), რომელსაც მოჰყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (111.233 ჯამური ინტერაქცია) - ყველა ინტერაქციის 11.1%-ით. პოლიტიკური პარტიები კომუნიკაციის გზად ძირითადად იყენებდნენ ფოტოებს (41.2%), Facebook ვიდეოებს (35,9%), და Facebook ლაივს (21,2%).

60-დღიანი კამპანიის პერიოდში, პოლიტიკური პარტიები კამპანიისთვის იყენებდნენ ერთზე მეტ Facebook გვერდს. გარდა პოლიტიკური პარტიების ოფიციალური Facebook გვერდისა, ისინი ასევე

⁶⁴ კერძოდ, დაჯარიმდნენ: ობიექტივი (9 სექტემბერი), საზოგადოებრივი მაუწყებელი (26 აგვისტო), იმედი (26 აგვისტო), აჭარის საზ. მაუწყებელი (26 აგვისტო), მედია ჰოლდინგი (26 აგვისტო), მაესტრო (26 აგვისტო), ფორმულა (26 აგვისტო).

⁶⁵ ტელეკომპანია იმედი

⁶⁶ ერთხელ 12 სექტემბერს, ორჯერ 17 სექტემბერს.

⁶⁷ გვერდები: ქართული ოცნება/Georgian Dream, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა • United National Movement, საქართველოსთვის/For Georgia, გირჩი • Girchi, ევროპული საქართველო • European Georgia, ლელო საქართველოსთვის • Lelo For Georgia, Girchi • გირჩი - მეტი თავისუფლება, Droa • დროა, სტრატეგია აღმაშენებელი • Strategy Aghmashenebeli, ლეიბორისტული პარტია • Labour Party, დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

⁶⁸ ინტერაქციები მოიცავს: მოწონებას, კომენტარებს, გაზიარებებს, რეაქციებს (loves, wows, hahas, sads, angry, cares).

იყენებდნენ სტრუქტურულ ერთეულებს (ადგილობრივ და რეგიონულ გვერდებს), მათ შორის, პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა და კანდიდატების გვერდებს, რომელიც Facebook-ზე პოლიტიკოსის/Politician კატეგორიაშია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ENEMO დააკვირდა 16 ასეთ Facebook ანგარიშს⁶⁹. მონაცემები მიუთითებს, რომ პოლიტიკოსები თავიანთი პროფილებით Facebook მომხმარებლების მეტ ინტერაქციაზე გავიდნენ, ვიდრე პოლიტიკური პარტიების გვერდებით, რამაც ჯამურად შეადგინა 4.82 მილიონი ინტერაქცია. ყველაზე მეტი ინტერაქცია მიიღო შემდეგმა გვერდებმა: „Mikheil Saakashvili“ (1.2M), „Kakha Kaladze კახა კალაძე“ (745.859), „Nika Melia / ნიკა მელია“ (654.859), and „Irakli Garibashvili“ (571.712). პოლიტიკური პარტიები კომუნიკაციის გზად ძირითადად იყენებდნენ ფოტოებს (41.2%), Facebook ვიდეოებს (35,9%), და Facebook ლაივს (21,2%).

პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკური კამპანია ჩაატარეს სოციალური მედიის სხვა პლატფორმებზეც, როგორცაა, Instagram, TikTok, Twitter, ასევე, Telegram. თუმცა, ENEMO-მ ყურადღება გაამახვილა Facebook-ზე, როგორც სოციალური მედიის ყველაზე პოპულარულ პლატფორმაზე⁷⁰ საქართველოში.

საარჩევნო „სიჩუმის დღეს“, 2021 წლის 2 ოქტომბერს, პოლიტიკური პარტიები აქტიურები იყვნენ სოციალურ მედიაში, მათ შორის, ჰქონდათ ფასიანი რეკლამები.

პოლიტიკური პარტიების ოფიციალური Facebook გვერდებიდან „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა ყველაზე მეტი პოლიტიკური რეკლამა სოციალური მედიის პლატფორმებზე⁷¹, კერძოდ, 480 ფასიანი რეკლამა 2021 წლის 2 აგვისტოდან 2021 წლის 2 ოქტომბრამდე, რომელსაც მოჰყვება „ევროპული საქართველო“ (170) და „გირჩი“ (110). როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ პოლიტიკური პარტიების უმეტესობა კამპანიისთვის იყენებდა ერთზე მეტ Facebook გვერდს და, შესაბამისად, რეკლამების ზუსტი რაოდენობა მცირედით მერყეობს. აღსანიშნავია, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა მხოლოდ 8 ფასიანი რეკლამა მისი ოფიციალური ანგარიშიდან, ხოლო დანარჩენი - კონკრეტული პოლიტიკოსების გვერდებიდან; „Nika Melia/ნიკა მელია“ პროფილს ჰქონდა ყველაზე მეტი პოლიტიკური რეკლამა სოციალური მედიის პლატფორმებზე შესაბამის პერიოდში (170).

ENEMO აღნიშნავს, რომ გამოწვევად რჩება გამჭვირვალობის ნაკლებობა და სოციალურ მედიაში პოლიტიკური რეკლამების გამოყენებასთან დაკავშირებით წესების შერჩევითი აღსრულება. დაურეგულირებელ გარემოში და ონლაინ საშუალებების ტექნიკური ხარვეზების გამო, რთულია იმის განსაზღვრა, თუ ზუსტად რამდენი პოლიტიკური რეკლამაა განთავსებული და რა თანხას ხარჯავენ პოლიტიკური პარტიები ონლაინ კამპანიის წარმოებაზე.

⁶⁹გვერდები: Mikheil Saakashvili, Kakha Kaladze კახა კალაძე, Nika Melia / ნიკა მელია, Irakli Garibashvili, გახარია, ანა დოლიძე / Anna Dolidze, Zurab Girchi Japaridze, Giorgi Vashadze / გიორგი ვაშაძე, ალექსანდრე ელისაშვილი / Alexander Elisashvili, Shalva Natelashvili - შალვა ნათელაშვილი, მამუკა ხაზარაძე Mamuka Khazaradze, ელენე ხოშტარია Elene Khoshtaria, Ana Bibilashvili • ანა ბიბილაშვილი, Badri Japaridze • ბადრი ჯაფარიძე, ირმა ინაშვილი, Giga Bokeria.

⁷⁰ Datareportal 2021, Georgia Report

⁷¹ Facebook, Instagram, Audience Network, Messenger

გენდერული წარმომადგენლობა

ამომრჩეველთა დაახლოებით 54% ქალია. თუმცა, მაინც ბევრი დაბრკოლება არსებობს ამ პროცენტული მაჩვენებლის პოტენციალისა და ძალის რეალურ პოლიტიკურ მოქმედებასა და პრაქტიკაში გარდაქმნის კუთხით. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან, თვითმმართველ ერთეულებში არჩეული პირების 13.46% იყო ქალი. გარდა ამისა, 2017 წელს პირდაპირ არჩეული 64 მერიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი.

საქართველომ რატიფიცირება გაუკეთა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას, რასაც მოჰყვა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ეროვნული გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, 2010 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ამის შემდეგ, 2013 წელს, გენდერული თანასწორობის დაცვისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და დააწესა კვოტების სისტემა, რომელიც არასავალდებულო, წამახალისებელი ხასიათის იყო და რომლის მიხედვითაც, პარტიები მიიღებდნენ მეტ სახელმწიფო დაფინანსებას, თუ მათ პარტიულ სიაში წარმოდგენილნი იქნებოდნენ ქალები (10%-ით მეტი დაფინანსება, თუ თითოეულ 10 კანდიდატს შორის 20% განსხვავებული სქესის იქნებოდა).

შემდგომში, 2020 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილებები და კანონმდებლობამ შეიძინა სავალდებულო ხასიათი, რომლის მიხედვითაც, ყველა პარტიას ვალდებულება დაეკისრა, რომ 2028 წლამდე ჩატარებული ყველა ზოგადი და ადგილობრივი არჩევნებისთვის შეექმნათ პარტიული სია იმგვარად, რომ ყოველი მეორე წევრი ყოფილიყო განსხვავებული სქესის. სამწუხაროდ, ამ ცვლილებას პრაქტიკაში არ უმოქმედია, ვინაიდან 2021 წელს კვლავ ახალი, უკან გადადგმული ცვლილება განხორციელდა: 2028 წლამდე ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის, პარტიული სიები უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ ყველა სამი კანდიდატიდან სულ მცირე ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ცვლილებას წმინდა პოლიტიკური მოტივაცია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობები, რომ ის სამართლებრივი არგუმენტაციით ახსნილიყო.⁷²

საჯარო სამსახურებში, ზოგადად, ქალთა წარმომადგენლობა დაბალია და შეადგენს პარლამენტში 19.3%-ს, ადგილობრივ საბჭოებში - 15.5%-ს და 13-დან 4 ადგილს მთავრობაში.

⁷²კერძოდ, 2021 წლის ივლისის ცვლილებები საარჩევნო კოდექსში ამცირებს პროპორციულ სიაში ქალების რაოდენობას. ეს ცვლილება პირველი მოსმენისას საერთოდ არ წამოჭრილა და გაჟღერდა მხოლოდ მეორე მოსმენისას. ცვლილება არ ეფუძნება საკმარისად ინკლუზიურ დისკუსიას. კანონპროექტის ავტორებმა განაცხადეს, რომ ახალი ნორმა უზრუნველყოფს ქალთა თითქმის იმავე რაოდენობის წარმომადგენლობას საკრებულოებში, როგორცაც 2020 წლის ცვლილებები ითვალისწინებდა და რომ ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ საარჩევნო სისტემაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, საკრებულოს პროპორციული გზით არჩეული წევრების რაოდენობის ზრდა, დააკომპენსირებს კვოტის შემცირებას.

თუმცა, წინა წლებთან შედარებით, არჩევნებში ქალთა მონაწილეობა გაიზარდა, სავალდებულო კვოტების გამო. მაგალითად, 1,731 პარტიული სიის კანდიდატიდან 807 (46.62%) იყო ქალი და 924 (53.38%) - კაცი, რაც წარმოადგენს ქალთა მონაწილეობის არსებითი ზრდის კარგ პოტენციალს მომავალში ადგილობრივ დონეზე, საკრებულოში ამჟამად მყოფ ქალთა რაოდენობასთან შედარებით.

გენდერული უთანასწორობა შეინიშნება მერის კანდიდატებში, რომლებზეც არ ვრცელდება სავალდებულო კვოტა. კერძოდ, თბილისის, საქართველოს დედაქალაქის, მერობის პოზიციაზე დასახელდა 19 კანდიდატი, 4 ქალი და 15 კაცი. მათგან 16 კანდიდატი დარეგისტრირდა - 4 ქალი და 12 კაცი. გარდა ამისა, 24 პირი დარეგისტრირდა 4 თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატად, მათ შორის 4 (16.67%) ქალი და 20 (83.39%) კაცი; 201 პირი დარეგისტრირდა 59 თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატად, მათ შორის, 18 (8.96%) ქალი და 183 (91.04%) კაცი.

მიუხედავად ამისა, გავრცელებული პრაქტიკაა, რომ იმ მიმართულებით, სადაც კვოტები სავალდებულო არაა, პოლიტიკური პარტიები საკუთარი ინიციატივით არ ასახელებენ ადეკვატური და არსებითი რაოდენობის ქალ კანდიდატებს.

გარდა ამისა, ამჟამად ქალთა რაოდენობის კლება მაღალი რანგის ინსტიტუციურ ორგანოებში. მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 17 წევრიდან მხოლოდ 4-ია ქალი. ამის საპირისპიროდ, დაბალი დონის კომისიებში ქალთა წარმომადგენლობა არსებითად მაღალია და საუბნო კომისიის წევრთა სამ მეოთხედზე მეტი ქალები არიან.

ზემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით, სავალდებულო კვოტების დაწესებას დადებითი გავლენა ჰქონდა ზოგადად პოლიტიკურ/პარტიულ სტრუქტურულ და საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე. თუმცა, არსებული სიტუაცია ჯერ კიდევ შორსაა ქალთა შესაბამისი წარმომადგენლობისა თუ ქვეყნის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ცხოვრებაში მათი არსებითი და მდგრადი პროაქტიული როლის მიმართულებით.

საჩივრები და აპელაცია

საჩივრებისა და აპელაციის პროცესი, ძირითადად, დარეგულირებულია საარჩევნო კოდექსით⁷³. ბოლოს შეტანილი ცვლილებების თანახმად⁷⁴, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, ხოლო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ უფრო მაღალი ინსტანციის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული პროცედურებითა და ვადებით.

მხოლოდ რეგისტრირებულ კანდიდატებსა და აკრედიტირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის

⁷³ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 72-74-ე მუხლები

⁷⁴ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 77-ე, ნაწილი 1

დარღვევაზე საჩივრების შეტანა, ხოლო ამომრჩევლებს საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურის დარღვევებზე ან იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან საარჩევნო სიაში.

პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელმა ცვლილებებმა გაახანგრძლივა საჩივრების უმეტესობის შეტანის ვადა ერთი დღიდან ორ დღემდე და განხილვის ვადა - ორი დღიდან ოთხ დღემდე. კამპანიასთან დაკავშირებული დარღვევების შემთხვევაში, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას, სასამართლოში გასაჩივრების ვადაა 10 დღე და განხილვის - კიდევ 10 დღე.

საჩივრის შეტანა საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედებებსა თუ უმოქმედობასთან დაკავშირებით შესაძლებელია შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედებებსა თუ უმოქმედობასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა შესაძლებელია შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ საოლქო საარჩევნო კომისია უარს აცხადებს ამომრჩეველთა სიაში/მონაცემებში ცვლილების შეტანაზე ან სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაციაზე შეტანილ უნდა იქნას შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციასთან და საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები საჩივრდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში. გასაჩივრების საბოლოო ინსტანციას ყველა საარჩევნო დავასთან დაკავშირებით წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მართავს იმ საჩივრების ონლაინ მონაცემთა ბაზას⁷⁵, რომელთა შეტანაც შესაძლებელია ელექტრონულად ან ბეჭდურად საოლქო საარჩევნო კომისიებში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოებში. ბოლოს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვალდებულება დაეკისრა, შეექმნა იმ პირთა ელექტრონული რეესტრი, რომლებსაც უფლება აქვთ, წარმოადგინონ მხარეები საარჩევნო დავებში. ამ რეესტრის მიზანი იყო წარმომადგენელთა ამომწურავი მონაცემთა ბაზის შექმნა და, შესაბამისად, დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლებისათვის მტკიცების ტვირთის მოხსნა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნამდვილად წარმოადგენდნენ შესაბამის მხარეს. იმ პირთა წრე და ხარისხი, რომლებსაც შეუძლიათ საჩივრების შეტანა, შეზღუდული და კომპლექსურია და, შესაბამისად, გასაჩივრების უფლება არჩევნებთან დაკავშირებულ დავებში რაც შეიძლება ფართოდ უნდა განიმარტოს, გამარტივდეს პროცედურები და შემცირდეს ფორმალობა, კერძოდ, თავიდან იქნას აცილებული წარმოებაში მიღებაზე უარი, განსაკუთრებით, პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე⁷⁶.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არჩევნების დღემდე 468 საჩივარი იყო შესული ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების მონაცემთა ბაზაში, საიდანაც 228 შეიტანეს საარჩევნო სუბიექტებმა და 190 - დამკვირვებელმა

⁷⁵ <https://sachivrebi.cec.gov.ge/>

⁷⁶ იხილეთ: საარჩევნო საკითხებში ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსი CDL-AD(2002)023rev2-cor, Guideline II. 3.3 b და განმარტებითი ბარათი

ორგანიზაციებმა. მათგან 47 შეიტანეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე, 408 - საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე, 8 - სასამართლოებში.

არჩევნების დღეს დაახლოებით 517 საჩივარი შევიდა, საიდანაც 324 შეიტანეს საარჩევნო სუბიექტებმა, 193 - დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა, საუბნო და საოლქო დონეზე საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. ზოგადად, შეტანილი საჩივრები, ძირითადად, უკავშირდებოდა საარჩევნო კამპანიის დარღვევებს, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და დამკვირვებლების უფლებების შეზღუდვის ზოგიერთ შემთხვევას.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს ENEMO-მ უბნებზე გააგზავნა 20 საერთაშორისო დამკვირვებელი, რომლებიც აკვირდებოდნენ გახსნის პროცედურებს 20 უბანზე, ხმის მიცემას 263 უბანზე და ხმის დათვლას 20 უბანზე. გარდა ამისა, ENEMO-ს მოკლევადიანი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ საარჩევნო მასალების მოტანასა და მიღებას 20 საოლქო საარჩევნო კომისიაში.

უბნების უმეტესობა მუშაობდა მოწესრიგებულად და შესაბამისი რეგულაციების დაცვით. თუმცა, პრობლემატური იყო პარტიული აქტივისტების ყოფნა უბნებზე.

დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ, ზოგადად, უბნები დროულად გაიხსნა ზოგიერთი უმნიშვნელო დაგვიანების გარდა. გახსნის პროცედურები ძირითადად დაცული იყო და, ზოგადად, უბნების გახსნა პოზიტიურად შეფასდა.

საერთო ჯამში, ხმის მიცემის პროცესი შეფასდა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი დაკვირვებული უბნების 95%-ის შემთხვევაში. ხმის მიცემის პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა ENEMO-ს დამკვირვებლებმა შენიშნეს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოწვეული იყო ხმის მიცემის კაბინების განლაგებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კაბინებთან ახლოს ყოფნით, ამომრჩევლების მიერ შემოხაზული ბიულეტენებისთვის ფოტოების გადაღებით და ორი ამომრჩევლის მიერ ერთსა და იმავე კაბინაში ბიულეტენების შემოხაზვით. ამომრჩევლების იდენტიფიკაციის, მარკირებისა და ბიულეტენების გაცემის პროცედურები რიგ შემთხვევებში არ იყო სათანადოდ დაცული და დაფიქსირდა ხმის რამდენჯერმე მიცემის მცდელობები. გადასატან ყუთთან დაკავშირებული დარღვევები მოიცავდა პარტიების წარმომადგენლების მიერ ამომრჩევლების სახელით განცხადებების დაწერას, წინასწარ ბეჭედდასმული ბიულეტენების გამზადებას გადასატანი ყუთებისათვის და გადასატანი ყუთის დალუქვასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ დარღვევებს.

საუბნო კომისიებში ატმოსფერო ძირითადად მშვიდი იყო. თუმცა ENEMO-ს დამკვირვებლებმა, განსაკუთრებით სოფლებში, შენიშნეს პარტიული აქტივობები უბნებზე, რაც, შესაძლოა, გავლენას ახდენდა ამომრჩევლებზე საუბრებით, ორგანიზებული ტრანსპორტირებითა და ამომრჩეველთა მონაწილეობისათვის თვალყურის დევნებით.

საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო კოვიდ-19 პრევენციის საყოველთაო ზომები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის და ეს ზომები, ძირითადად, დაცული იყო. სოციალური დისტანციის დაცვის მხრივ შეინიშნებოდა ხარვეზები ზოგიერთ ისეთ უბანზე, რომელიც მეტისმეტად პატარა ან ხალხით გადავსებული იყო.

უბნების მხოლოდ ნახევარი იყო ადვილად ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. უბნების უმეტესობას ჰქონდა გამადიდებელი ლინზა მხედველობაშეზღუდული ამომრჩევლებისათვის. ქალები კარგად იყვნენ წარმოდგენილნი საუბნო საარჩევნო კომისიებში და შეადგენდნენ კომისიების წევრების 80%-ს, მათ შორის, იყვნენ თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივნები.

უბნებზე ხმების დათვლის პროცედურა ძირითადად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა - ესწრებოდნენ დამკვირვებლები და მიმდინარეობდა ვიდეოჩაწერა. ENEMO-ს დამკვირვებლებმა ძირითადად პოზიტიურად შეაფასეს დათვლის პროცესი. 3 უბანზე დათვლა ნეგატიურად შეფასდა, რაც დაკავშირებული იყო პროცედურულ დარღვევებთან, 1 უბანზე ბიულეტენები არ იყო ნაჩვენები ვიდეოფიქსაციისთვის. უბნების შედეგები გამოქვეყნდა საჯაროდ და გადაეცა დამკვირვებლებს ყველა საარჩევნო უბანზე. საარჩევნო მასალების გადაცემისა და შედეგების დათვლა საოლქო საარჩევნო კომისიებში შეფასდა, როგორც კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე.

ცესკომ გამოაცხადა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა იყო 51,9% და დაიწყო კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების წინასწარი შედეგების გამოქვეყნება დახურვიდან რამდენიმე საათში, მათ შორის, უბნების ოქმების გამოქვეყნება ცესკოს საიტზე, რაც ხელს უწყობდა შედეგების გამჭვირვალობას.

დამკვირვებლები

საქართველოს საარჩევნო კოდექსი არჩევნების დაკვირვების უფლებას აძლევს ეროვნულ და საერთაშორისო დამკვირვებლებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებსა და მედიას. ეროვნული დონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეეძლოთ მოეთხოვათ არჩევნებზე დაკვირვება, თუ დარეგისტრირებულნი იყვნენ არჩევნების დღემდე სულ მცირე 1 წლით ადრე ისეთ იურიდიულ პირად, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვასა და არჩევნების მონიტორინგს.

დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების უფლებებს განსაზღვრავს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლი, მათ შორის, უფლებას, წარმოდგენილნი იყვნენ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის დღის ნებისმიერ მონაკვეთში, გადაადგილდნენ შეუზღუდავად უბნის ტერიტორიაზე და დააკვირდნენ ხმის მიცემის პროცესის ყველა სტადიას თავისუფლად და დაუბრკოლებლად. გარდა ამისა, დამკვირვებლებს შეეძლოთ ფოტო/ვიდეო გადაღება, გარდა ხმის მიცემის კაბინის ან მაგიდის ფოტო/ვიდეო გადაღებისა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აკვირდებოდა დამკვირვებელთა დიდი რაოდენობა - როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო. ჯამში, ცესკომ აკრედიტაცია გასცა 22,973 დამკვირვებელზე 88 ეროვნული ორგანიზაციიდან და 662 დამკვირვებელზე 52 საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

საქართველოს მრავალფეროვანი სამოქალაქო საზოგადოება ჰყავს; ეროვნულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მოკლევადიანი დამკვირვებლები გააგზავნეს არჩევნების დღეს, ხოლო უფრო დამკვიდრებულმა ორგანიზაციებმა, როგორცაა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება⁷⁷ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აწარმოეს გრძელვადიანი დაკვირვებაც, რითაც ხელი შეუწყეს პროცესის გამჭვირვალობას. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ასევე განახორციელა ხმების პარალელური დათვლა.

ENEMO-მ წუხილით აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარჩევნო ანგარიშები მმართველი პარტიისა და ინსტიტუციური აქტორების სამიზნე გახდა. სანდო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აუმჯობესებს ქვეყნის დემოკრატიას და მათი წვლილი გადამწყვეტია დემოკრატიის გაძლიერებაში.

გარდა ამისა, ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა აკრედიტაცია მისცეს 74 ეროვნული მედიასაშუალების 2 616 წარმომადგენელსა და 20 ადგილობრივი მედიასაშუალების 80 წარმომადგენელს.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაარეგისტრირეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც გეგმავდნენ დაკვირვებას მხოლოდ ერთი ოქლის ფარგლებში, ასევე, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები საუბნო დონეზე. 20 სექტემბრის მონაცემებით, 13 ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაახლოებით 56 დამკვირვებელია აკრედიტირებული საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ.

⁷⁷ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ENEMO-ს წევრი ორგანიზაციაა. საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ENEMO-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველოში და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საარჩევნო სადამკვირვებლო მისია მუშაობდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

ENEMO-ს შესახებ

არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENEMO) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, წარმოადგენს ეროვნულ არასამთავრობო სამოქალაქო ორგანიზაციებს და დაარსდა 2001 წლის 29 სექტემბერს ხორვატიაში, ქალაქ ოპატიაში. ENEMO შედგება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნების, ასევე, ცენტრალური აზიის ქვეყნების, სულ 17 ქვეყნის 21 წამყვანი ადგილობრივი მონიტორინგის ორგანიზაციებისაგან.

ENEMO-ს მიზანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და რეგიონში დემოკრატიის გაძლიერება საარჩევნო პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს შესწავლით, ასევე, სწორი და დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ანგარიშებით. ENEMO-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში გამოყენებულია დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო საზომები და სტანდარტები, რათა შეფასდეს საარჩევნო სისტემა და მასპინძელი ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო. ENEMO და მისი ყველა წევრი ორგანიზაცია შეუერთდა 2005 წლის დეკლარაციას საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლობის შესახებ და არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ დეკლარაციას. ENEMO-ს თითოეულმა წევრმა ხელი მოაწერა საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსს.

ENEMO-ს წევრ ორგანიზაციები სულ დააკვირდნენ 250-ზე მეტ ეროვნულ არჩევნებს და მომზადებული ჰყავთ 240,000-ზე მეტი დამკვირვებელი.

ამ დროისათვის, ENEMO-ს ჩატარებული აქვს 36 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 10 ქვეყანაში: მოლდოვა 2021, ალბანეთი 2021, საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვა 2020, საპრეზიდენტო არჩევნები; მონტენგრო 2020, საპარლამენტო არჩევნები; სერბეთი 2020, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2020, ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვა 2019, ადგილობრივი არჩევნები; უკრაინა 2019, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2019, საპრეზიდენტო არჩევნები; მოლდოვა 2018-19, საპარლამენტო არჩევნები; სომხეთი 2018, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვა 2016, საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინა 2015, მორიგი ადგილობრივი არჩევნები; უკრაინა 2014, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2014, საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინა 2013-2012 წლის ხელახალი საპარლამენტო არჩევნები 5 MEC-ში; კოსოვო 2013, ადგილობრივი არჩევნები, პირველი ტური; უკრაინა 2012, საპარლამენტო არჩევნები; კოსოვო 2011, ხელახალი საპარლამენტო არჩევნები; კოსოვო 2010, საპარლამენტო არჩევნები; ყირგიზეთი 2010, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2010, საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე ტური; უკრაინა 2010, საპრეზიდენტო არჩევნები, პირველი ტური; კოსოვო 2009, ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვა 2009, საპარლამენტო არჩევნები; საქართველო 2008, საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთი 2007, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2007, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2006, ადგილობრივი არჩევნები პოლტავაში, კიროვოგრადსა და ჩერნიჰივში; უკრაინა 2006, საპარლამენტო არჩევნები; ყაზახეთი 2005, საპრეზიდენტო არჩევნები; ალბანეთი 2005, საპარლამენტო არჩევნები; ყირგიზეთი 2005, საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთი 2005, საპარლამენტო არჩევნები; უკრაინა 2004, მეორე ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინა 2004, საპრეზიდენტო არჩევნები.

ENEMO-ს წევრი ორგანიზაციებია: Center for Civic Initiatives CCI, ბოსნია და ჰერცეგოვინა; Center for Democratic Transition – CDT, მონტენეგრო; Centre for Monitoring and Research – CeMI, მონტენეგრო; Center for Free Elections and Democracy – CeSID, სერბეთი; In Defense of Voters’ Rights ‘GOLOS’, რუსეთი; GONG, ხორვატია; International Society for Fair Elections and Democracy – ISFED, საქართველო; KRIIK Association, ალბანეთი; Citizens Association MOST, მაკედონია; Promo- LEX, მოლდოვა; OPORA, უკრაინა; Society for Democratic Culture SDC, ალბანეთი; Transparency International Anti-Corruption Center (TIAC), სომხეთი; Election Monitoring and Democratic Studies Center (EMDS), აზერბაიჯანი; Belarussian Helsinki Committee (BHC), ბელარუსი; FSCI, ყაზახეთი; Kosovo Democratic Institute (KDI), კოსოვო; Coalition for Democracy and Civil Society, ყირგიზეთი; Center for Research, Transparency and Accountability (CRTA), სერბეთი; Obcianske OKO (OKO), სლოვაკეთი; Committee of Voters of Ukraine (CVU), უკრაინა.